# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 6 მარტი. 2024 წ. №27 (9707) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## თავკერძა პრეზიდენტი!



# თავი ვინ მოგჭრა და... საკუთარმა ენამო!

③



არავინ იცის... რამდენად სწორად იქცევა ქალბატონი პრეზიდენტი, რამდენად უტყუარია მისი სამომავლო გათვლა საქართველოსთვის. ხომ ფაქტია, მინიმუმ ერთხელ მაინც რომ შეცდა მოვლენათა შეფასებაში, როდესაც 1992 წლის 7 იანვარს პარიზიდან „დიქტატორის" დამხობა და „დემოკრატიის გამარჯვება" მიულოცა კანონიერი პრეზიდენტის, ქვეყნის უდიდესი პატრიოტის ზვიად გამსახურდიას დამამხობელ სიგუას, კიტოვანსა და იოსელიანს. მაშინ ზვიადი იყო, თურმე, საქართველოს დემოკრატიის პირველი მტერი, ახლა კი ასეთად „ოლიგარქ" ბიძინა ივანიშვილს გვისახავს!!!







## საგანძური

# კარგი, ძალიან კარგი, აუცილებელი წიგნი




5

საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველის წინაშე დევს ფრიად ორიგინალური, თავისუფალი აზროვნების კლასიკური ნიმუში – ავთანდილ ნოწკოლაურის შეუდარებელი ორტომეული „საქართველოს მეფეები"

# დაFARA-ს გარეწრები

ნახეთ, როგორ ასწრებენ ერთმანეთს ლობისტური ფირმების მოქრთამვაზე სააკაშვილის ოჯახი და ქურდბაცაცა „კეზერა"!..

⑤

# რეპრესიები დაანონსებულია, სამიზნეები ცნობილია




⑥

## იზიდა ჭანია:

აფხაზეთში მედიის კუთხით უკვე ურთულესი ვითარებაა, საინფორმაციო ველი ყოველდღიურად ვიწროვდება, ცილისწამების შესახებ მუხლში შემოთავაზებული ცვლილებები კი საკონტროლო გასროლა იქნება.

## ეროვნული პრობლემა

# მიზერული ხელფასის გამო საქართველო ეჭთნების გარეშე რჩება...

⑨



## ივანე ჯაფარიძე

⑩

# ქართული ალპინიზმის მემატიანე, მეცნიერი, პუბლიცისტი, მამულიშვილი

## რობერტ სტურუა



⑫

# თუ „ვეფხისტყაოსანს" დავდგამ, მაშინ ყველას დაგემშვიდობებით...

## კახა კალაძე:

# ...ცხადია, კეზერაშვილის დაქირავებულ ლობისტებს არავინ შეხვდებოდა



**მთელმა ევროპამ და მსოფლიომ გაიგეს, როგორი თაღლითური გზით ძარცვავდა პენსიონერებს კეზერაშვილი, ცხადია, მის დაქირავებულ ლობისტებს არავინ შეხვდებოდა,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

კახა კალაძეს კითხვა დაუსვეს, როგორ შეაფასებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის ჯგუფის წარმომადგენლები შეხვედრების ორგანიზებას ცდილობდნენ, მათ შორის აშშ-ის სენატისა და კონგრესის წევრების თანამშრომლებთან და მათ კონგრესმენები არ შეხვდნენ.

**„ცხადია, რატომ არ ისურვეს შეხვედრა. „ფორმულა“ ვისია, ვინაა ამ ტელევიზიის მფლობელი – კეზერაშვილი. ვიცით, რით არის კეზერაშვილი მთელი ცხოვრება დაკავებული, რას წარმოადგენს, რა რეპუტაცია აქვს. საზოგადოებამ, მთელმა ევროპამ და მსოფლიომ გაიგო, ბოლო წლების განმავლობაში რას აკეთებდა, როგორი თაღლითური გზით ძარცვავდა პენსიონერებს. შესაბამისად, ცხადია, არავინ შეხვდებოდა“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

## ირაკლი ქადაგიშვილი:

# ოპოზიციას დამოუკიდებელი ხედვა არაფერზე არა აქვს!

**ოპოზიციას არ ჰყოფნის სიმამაცე, ფსევდოლიბერალურ პროპაგანდასთან დაკავშირებით პრობლემის გადაწყვეტაში ვიყოთ სოლიდარული, მათ თავიანთი დამოუკიდებელი ხედვა არაფერზე აქვთ,** – ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილმა** განაცხადა.



ქადაგიშვილს კითხვა დაუსვეს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მომზადდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან დაიცავს.

**„საუბარია იმაზე, რომ დაცული უნდა იყოს ყველას უფლება, მათ შორის სექსუალური უმცირესობების უფლებები. ამავე დროს, მოზარდ თაობებსა და ბავშვებში არ უნდა მოხდეს იმდაგვარი წესის შემოტანა, რასაც ვუყურებთ, როცა საბავშვო ბაღებსა და დამწყებ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირდაპირ პროპაგანდა მიმდინარეობს – რა სქესი ხარ, შენ თვითონ უნდა აირჩიო. ამის გამოხატულებებს ვუყურებთ და საზოგადოებაში ძალიან დიდი შეშფოთებაა. ასევე მცდელობაა, რომ ახალი ენა დამკვიდრდეს ჩვენს ყოფასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში – არ მოვიხსენიოთ დედა, მამა, შვილი. ეს ტენდენციები ოფიციალურ დონეზეა როგორც საგანმანათლებლო, ასევე სხვა სივრცეებში მსოფლიოში.**

**ეს საკითხი დღეს თუ არა, ხვალ პირდაპირ დადგება საქართველოს წინაშე, ისევე, როგორც დადგა სხვა საკითხი, რომ განგვესაზღვრა, რა არის ოჯახი. ამ მიზნით კონსტიტუციაში შევიტანეთ ცვლილებები, რადგან სხვანაირად აღარ გამოდიოდა. ოპოზიციას არ ჰყოფნის არანაირი სიმამაცე, თქვას, რომ ეს პრობლემაა და ამის გადაწყვეტაში ვიყოთ სოლიდარული, მათ თავიანთი დამოუკიდებელი ხედვა არაფერზე აქვთ. ახლაც ანტიდასავლურ განწყობებს ვიღებთ საზოგადოებაში ისეთი თემების პროპაგანდირებით, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. არავინ არაფერს კრძალავს და ვინმემ ისე არ გაიგოს, რომ ხელოვანს თავისი აზრის გამოხატვა არ შეეძლება. აქ საუბარია იმაზე, რომ ბავშვები და მოზარდი თაობა უნდა იყოს დაცული ასეთი ზეგავლენისგან“,** – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

# სამხედრო წოდებისა და სახელმწიფო სპეციალური წოდების პირებისთვის კომპენსაცია გაიზრდება

**სამხედრო წოდებისა და სახელმწიფო სპეციალური წოდების პირებისთვის, კომპენსაციის დღეს არსებული მაქსიმალური 560-ლარიანი ზღვარი ათასი ლარამდე იზრდება. ხოლო ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დადგენილი ყოველთვიური კომპენსაციის ოდენობა, 1000 ლარის ნაცვლად, 1200 ლარი გახდება.**



ცვლილებების მიხედვით, კომპენსაციის ოდენობა ნამსახურევი წლების და სამხედრო ან სპეციალური წოდების მიხედვით დაანგარიშდება და არსებულ საბაზისო პენსიის ოდენობას დაემატება. კანონპროექტს ჯანდაცვის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

# მოქალაქეთა პირად დოკუმენტებში საეჭვო არაფერი არ უნდა იყოს!

**პარლამენტი საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა პირადობის მოწმობებსა და პასპორტებში მითითებული დაბადების თარიღი მათივე დაბადების აქტების ჩანაწერებში და დაბადების მოწმობებში მითითებული დაბადების თარიღისგან განსხვავდება, სპეციალურ კანონს მიიღებს.**

შესაბამისი ცვლილებები „მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონში შედის, რომელსაც დღეს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი პირველი მოსმენით დაჩქარებული წესით განიხილავს.

კანონში შემდეგი ნორმის დამატება მოხდება – თუ 2024 წლის პირველ მაისამდე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული დაბადების თარიღი განსხვავდება მისი მფლობელის დაბადების აქტის ჩანაწერში ან დაბადების მოწმობაში მითითებული მისივე დაბადების თარიღისაგან, 2024 წლის პირველი მაისის შემდეგ ამ პირზე გაცემულ საქართველოს მოქალაქის პირადობის ყოველ ახალ მოწმობასა და საქართველოს მოქალაქის ყოველ ახალ პასპორტზე მისი თანხმობით დაიტანება იგივე დაბადების თარიღი, რომელიც 2024 წლის



პირველ მაისამდე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ აღნიშნულ დოკუმენტშია მითითებული. ზემოთ აღნიშნულის გარდა, კანონპროექტში მიეთითება, რომ საქართველოს მოქალაქის პირადობის ზემოხსენებულ ახალ მოწმობაზე ან საქართველოს მოქალაქის ახალ პასპორტზე დატანილი ჩანაწერი (დაბადების თარიღი) არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის გაუქმების საფუძველი.

**„დღეს საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, მრავალი წელია საქართველოს მოქალაქის პირადობის ისეთ მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის ისეთ პასპორტს ფლობს, რომელში მითითებული დაბადების თარიღიც მისი მფლობელის დაბადების აქტის ჩანაწერში ან დაბადების მოწმობაში მითითებული მისივე დაბადების თარიღისაგან განსხვავდება, რაც ამ პირთა პირადობის მოწმობების გაუქმების საფუძველია და მათი პასპორტების ვალიდურობას ეჭვქვეშ აყენებს“,** – აღნიშნულია პროექტში.

# საქართველო მრავალეროვნულ სწავლებას „ტროას ნაკვალევი 24“ მასპინძლობს

**საქართველო მრავალეროვნულ სწავლებას „ტროას ნაკვალევი 24“ მასპინძლობს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სწავლებაში თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის ქვედანაყოფები მონაწილეობენ.**

„სწავლება – „ტროას ნაკვალევი 24“ აშშ-ის ევროპაში სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობის (US-SOCEUR) ორგანიზებით, პარალელურად სამ ქვეყანაში – რუმინეთში, საბერძნეთსა და საქართველოში ტარდება. საქართველოში ჩასატარებელ კომპონენტში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ესპანეთის სპეციალური დანიშნულების ძალების წარმომადგენლები მონაწილეობენ. სწავლებაში, ასევე ჩაერთვებიან ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის რეზერვისტები და მოხალისეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. სწავლების ფარგლებში, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, პარტნიორი ქვეყნების სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლებთან ერთად, სახმელეთო და საზღვაო კომპონენტებში მომზადებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაივლიან.




**„ტროას ნაკვალევი 24“ მიზნად ისახავს მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის გაზრდას, გამოცდილების გაზიარებასა და მზადყოფნის დონის ამაღლებას. საქართველოს თავდაცვის ძალები მრავალეროვნულ სწავლებაში მესამედ მონაწილეობს. მსგავსი სახის საერთაშორისო სწავლებებში მონაწილეობით, საქართველო აძლიერებს შეკავებისა და მდგრადობის შესაძლებლობებს, ზრდის თავდაცვისუნარიანობას და ნატოს წევრ ქვეყნებთან თავსებადობას“.**

# თურქული ხომალდი ბათუმს 10 მარტს დატოვებს

**საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდი TCG YILDIRIM F-243 შემოვიდა.**

ვიზიტის მიზანია, ნატოს ოპერაციული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების „ოჩამჩირე“ და „დიოსკურია“ მეორე დონის თვითშეფასების (SEL-2) ჩატარება.




აღნიშნული პროცესი ქართველი და ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობიდან მოვლენილი წარმომადგენლების (შემფასებლების) მხარდაჭერით ხორციელდება.

ვიზიტის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა თურქული ხომალდის მეთაურობას შეხვდება. გაიმართება ოფიციალური მიღება თურქული ხომალდის ბორტზე. ასევე, ეკიპაჟის წევრებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

თურქული ხომალდი ბათუმის ნავსადგურს 10 მარტს დატოვებს“.

№27. ოთხშაბათი, 6 მარტი, 2024 წელი.

**იმპიჩმენტის შემდეგ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა არა მხოლოდ ფეხი, ენაც აიდგა, ერთიცა და მეორეც დაუოკებლად და უკონტროლოდ. გაუთავებელი საეჭვო შინაარსის ვიზიტებით და საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების კრიჭაში მდგომი, წაღმა-უკუღმა აგინებს მას, ხოლო, როცა საქმე საქმეზე მიდგება, „სიამაყით გულზედ მოსული", მარჯვედ აიფარებს ხოლმე, მე საქართველოს პრეზიდენტი ვარო.**



# თავი ვინ მოგჭრა და... საკუთარმა ენამო!

**მკვდარზე ან კარგი, ან არაფერიო, ნათქვამია.**

**ნათქვამი კია, მაგრამ ყოველთვის არ გამოდის. ჩვენმა მეხუთე პრეზიდენტმა ლამის იყო კინაღამ მთელი საქართველო წააკლა თებერვლის შუა რიცხვებში საპატიმროში გარდაცვლილი რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნად გამგზავრებას. საყვედურებით აიკლო უენო ხელისუფლება, როგორ თუ სათანადო პატივი არ მიაგეთ ამ დიდებულ ადამიანს და პოლიტიკოსსო.**

არადა, იმ ნავალნიზეა ლაპარაკი, რომელმაც ქართველებს მღრღნელები („გრიზუნი გრუზინი") უწოდა 2008 წლის 8 აგვისტოს და მათი ამოჟუჟვა ინატრა: „რა თქმა უნდა, ძალიან მინდა დავუშინოთ ფრთოსანი რაკეტები „გრიზუნების" გენშტაბს. რუსეთმა უნდა მიიღოს მინიმუმ შემდეგი ზომები: აღმოუჩინოს სერიოზული სამხედრო და ფინანსური დახმარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს... ბლოკადაში მოაქციოს საქართველო... გააძევოს ჩვენს ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქე". 2008 წლის 12 გვისტოს კი თავის ბლოგში ირონიულად ურჩევდა ქართველებს: „რუსეთმა უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. კი, ქართველებისთვის ეს ძალიან მტკივნეული იქნება... მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მიხვდებიან, რომ წარსულს ვეღარ დაიბრუნებენ და გააგრძელებენ ნორმალურ ცხოვრებას-ყურძენს მოიყვანენ, იმღერებენ, მთაში გარეკავენ ვირებსა და ჩოჩრებს და კიდევ, ვისაც მწყემსავენ ხოლმე... აიმაღლებენ ცხოვრების დონეს და შესაძლოა, ასობით ათასმა ქართველმა აღარ იზოდიალოს რუსეთში"...

მართალია, 5 წლის შემდეგ ნავალნიმ აღიარა, შევცდი, ქართველებს შეურაცხყოფა რომ მივაყენე, მაგრამ პოლიტიკური შეხედულებები არ შემიცვლიაო.

**ისე რომ, სალომე ზურაბიშვილი ნავალნის გარდაცვალებაზე ამაოდ გვტენის, ეს არის ტრაგედია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ყველა დამცველისთვისო.**

როცა 26 თებერვალს უნგრეთის პარლამენტში ოპოზიციური მწვანეთა პარტია გამოვიდა ინიციატივით, პატივი მიეგოთ რუსი ოპოზიციონერის ხსოვნისთვის, მას უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი და მისი პარტიის სხვა წევრები დაუპირისპირდნენ. შოვინისტები უნგრეთის პარლამენტში არანაირ პატივისცემას არ იმსახურებენ. იმას, ვინც საქართველო-რუსეთის ომის დროს ქართველებს მღრღნელებს უწოდებდა, პატივს არ მივაგებთ. სხვა მხრივ, მშვიდად განისვენოს, თქვა ორბანმა.

ის ანტიქართული ცნობები, რაც ალექსეი ნავალნის შესახებ მოგახსენეთ, საიდუმლო დოკუმენტებიდან სულაც არ გახლავთ მოპოვებული და ჩვენს პოლიტიკოსებს კარგად მოეხსენებათ, ხელისუფლებას ხომ მით უფრო. ამიტომ იყო, რომ პრეზიდენტის გაჭაჭვას ბევრმა არავინ დაუჭირა მხარი, თვითონ კი, როგორც ვნახეთ, გული ამოიგდო.

ახალი ემოციები სჭირდებოდა ჩასაშუშებლად და მიიღო კიდეც: დიდ ბრიტანეთში მიიწვიეს საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რა თქმა უნდა, კანცელარიაში არ გავარდნილა გამგზავრების ნებართვის მისაღებად, როგორც ადრე, ერთ დროს ხდებოდა, იმპიჩმენტამდე. თუ მაშინ პრეზიდენტი ფორმალურად, ყასიდად მაინც კითხულობდა აქა და აქ ვაპირებ წასვლას, თუ შეიძლებაო, ახლა, იმპიჩმენტის შემდეგ, სულ ფეხებზე დაიკიდა უფროსიც და უმცროსიც, იმპიჩმენტმა ყველა შეზღუდვაზე ხელი ააღებინა და თავისი ფორმალური პრეზიდენტობა ამერიკის პრეზიდენტობისათვის გაათანაბრებინა.

ქ-ნი სალომეს დიდ ბრიტანეთში ძლევამოსილად გამგზავრებამდე ევროპარლამენტმა თავისი საგარეო პოლიტიკის წლიური ანგარიში დაამტკიცა, სადაც ევროპარლამენტარ ანა ფოტიგას ინიციატივით შევიდა შესწორება, რომელიც პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას ეხება: „ევროპარლამენტი იმეორებს თავის მოწოდებას-გათავისუფლდეს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჰუმანიტარული ნიშნით და ახალისებს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული შეწყლების უფლება, რაც წვლილს შეიტანს ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებაში."

„ქართული ოცნება" კრიტიკით შეხვდა ევროპარლამენტის ამ რეზოლუციას, განსაკუთრებით მწვავე იყო პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის შეფასება. მისი თქმით, „დადგა დრო ევროკავშირი ოფიციალურად გაემიჯნოს ევროპარლამენტარების ცილისმწამებლურ განცხადებებს. ჩვენი შეკითხვა ევროკავშირისადმი იმაზეა, იზიარებენ ისინი ჩვენს საერთო ღირებულებებს, თუ ევროპარლამენტარების ვიწრო ინტერესებს ექვემდებარებიან. " იგივე სხვებმაც გაიმეორეს.

**იმპიჩმენტის შემდეგ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა არა მხოლოდ ფეხი, ენაც აიდგა, ერთიცა და მეორეც დაუოკებლად და უკონტროლოდ. გაუთავებელი საეჭვო შინაარსის ვიზიტებით და საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების კრიჭაში მდგომი, წაღმა-უკუღმა აგინებს მას, ხოლო, როცა საქმე საქმეზე მიდგება, „სიამაყით გულზედ მოსული", მარჯვედ აიფარებს ხოლმე, მე საქართველოს პრეზიდენტი ვარო.**

ჰოდა, ანა ფოტიგას და, საერთოდ, ამ თემაზე საპასუხოდ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ ისაუბრა სააკაშვილის შეწყალების შესაძლებლობაზე. სააკაშვილი ნავალნი არ არის და ის პატიმრობაში რეალური მიზეზითაა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჰუმანიტრული პერსპექტივა არ უნდა იყოს დაცული: „სააკაშვილი ყოფილი პრეზიდენტია, რომელსაც თავისი პრეზიდენტობის ჟამს ბევრი ისეთი რამ ჰქონდა, რასაც, არ ვიცი, რა დავარქვა. რასაც ახლა ვხედავთ, რაც სხვადასხვა რეჟიმებში გვინახავს, ავტოკრატიული, ავტორიტარული რეჟიმების ციხეებში ადამიანის უფლებების დარღვევების ტენდენცია – ეს ყველაფერი გვინახავს და სააკაშვილის მმართველობის დროს ამაში გვიცხოვრია. ასე რომ, ის ციხეში რეალური მიზეზების გამოა. ეს არ ნიშნავს, რომ ჰუმანიტარული პერსპექტივა არ უნდა იყოს დაცული... გეთანხმებით, რომ რეპუტაციულად გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ სადმე სხვაგან ყოფილიყო. ეს მთავრობის მისაღები გადაწყვეტილებაა. ბევრი გზებია, რითაც სხვა ქვეყნებს ეს საკითხი მოუგვარებიათ – შინა პატიმრობა, ექსტრადაცია, უკრაინამ აჩვენა, რომ ის მზად არის ექსტრადაციისთვის... ჩემი მხრიდან მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მაქვს, რომელზეც არასდროს ვაკეთებ კომენტარს ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მცირე კომენტარს ვაკეთებ ხოლმე ქვეყანაში... ეს მორალური გადაწყვეტილებაა, რომელსაც ჩემით ვიღებ და პასუხს მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ვაგებ, და ეს ნამდვილად არ არის ის, რაზეც გავლენა შეიძლება მოახდინო საგარეო ზეწოლით ან შიდა ზეწოლით".

„პასუხს მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ვაგებ", – პრეზიდენტის ამ სიტყვებმა შეაშფოთა და აღაშფოთა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც აისახა კიდეც სოცქსელებში პრეზიდენტის ინტერვიუს კომენტარებში. „ხალხმა გადასცა მას ეს უფლებამოსილება და ხალხთანაა ანგარიშვალდებული"... „თქვენ საკუთარი თავის წინაშე კი არ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა, არამედ ხალხის წინაშე, იმ დედების წინაშე, ვინც შავებით შემოსა სააკაშვილის ხელისუფლებამ და სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქცია"... „ერთადერთი კარგი, რაც აქამდე ქ-ნ სალომეს უთქვამს, არის სააკაშვილის შეწყალებაზე მისი სიტყვები – „არა და არასოდეს", დანაპირების არშესრულების შემთხვევაში ქართველი ხალხის განაჩენი მკაცრი იქნება" ა. შ. და ა. შ.

ოპოზიციონერთა ერთ ნაწილში კი ქ-ნი პრეზიდენტის ამ განცხადებამ სააკაშვილის შეწყალების იმედი გააღვივა. სალომე ზურბიშვილის განცხადებების ტონის და შინაარსის ცვალებადობა გვაფიქრებინებს, რომ არაფერია გამორიცხულიო, განაცხადა „ევროოპტიმისტების" დეპუტატმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან. არანაკლებ გაახარა ევროოპტიმისტი გოცირიძე სალომე ზურაბიშვილის მხრიდან „ქართული ოცნების" კრიტიკამ. „ეს კრიტიკა კი არ არის, არამედ მოწოდებაა იმისა, რომ „ქართული ოცნება" და ბიძინა ივანიშვილი უნდა დამარცხდნენ. ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობა უნდა მოიშალოს და გაიმარჯვოს ოპოზიციამ, რომელიც კოალიციური მმართველობით უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში. ანუ, სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ ოპოზიციის სასარგებლო განცხადებებს აკეთებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს და, ბუნებრივია, სწორად იქცევა".

**არავინ იცის... რამდენად სწორად იქცევა ქალბატონი პრეზიდენტი, რამდენად უტყუარია მისი სამომავლო გათვლა საქართველოსთვის. ხომ ფაქტია, მინიმუმ ერთხელ მაინც რომ შეცდა მოვლენათა შეფასებაში, როდესაც 1992 წლის 7 იანვარს პარიზიდან „დიქტატორის" დამხობა და „დემოკრატიის გამარჯვება" მიულოცა კანონიერი პრეზიდენტის, ქვეყნის უდიდესი პატრიოტის ზვიად გამსახურდიას დამამხობელ სიგუას, კიტოვანსა და იოსელიანს. მაშინ ზვიადი იყო, თურმე, საქართველოს დემოკრატიის პირველი მტერი, ახლა კი ასეთად „ოლიგარქ" ბიძინა ივანიშვილს გვისახავს.**

ამავე ინტერვიუში სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ის არ აპირებს ოპოზიციის ლიდერობას, არამედ სურს ოპოზიციური პარტიები გააერთიანოს „ევროპული პლატფორმის" ირგვლივ, რომლის შექმნაც 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტში წლიური მოხსენებით გამოსვლისას დააანონსა.

პრეზიდენტის ყველაზე უფრო დიდი მკრეხელობა და უპატიებელი შეცოდებაა. დიდ ბრიტანეთში მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ეკლესიას და პატრიარქსაც რომ გადასწვდა: „დღეს სუსტია პატრიარქი, რომელიც ეკლესიის გეზს ძალიან მტკიცედ ინარჩუნებდა. ვფიქრობ, მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, ხელისუფლებასთან ძალიან ახლოსაა და ვიტყოდი, რომ აქცენტების ცვლილებების მიყოლა ახასიათებს. ვიმედოვნებ, რომ ეკლესია პროდასავლურ კურსს გაჰყვება და რადგან ოპტიმისტი ვარ და საქართველოს გამძლეობის მწამს, ასევე იმედი მაქვს, რომ ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართველი და პროევროპელი პატრიარქის არჩევას."

ამ განცხადებას პრემიერმა კობახიძემ გამაოგნებელი უწოდა, ხოლო საპატრიარქოს პრესსპიკერმა ანდრია ჯაღმაიძემ-ეთიკას მოკლებული და ეკლესიის საქმეებში უხეში ჩარევა, რაც არა იმდენად ეკლესიას აკნინებს და აყენებს ჩრდილს, რამდენადაც ამ სიტყვების ავტორს.

**ბატონი ანდრია, როგორც ვხედავთ, სასულიერო პირისთვის დამახასიათებელი თავშეკავებით უსვამს ხაზს პრეზიდენტ ზურაბიშვილის აღვირახსნილ სითავხედეს, ოღონდ, ამ თავშეკავებაშიც ნათლად ვლინდება ღობე-ყორეს გაკრული ქალბატონის ენის სიგრძე და დაუოკებლობა. ხომ გახსოვთ, თავი ვინ მოგჭრა და საკუთარმა ენამო!**

**ალეკო ასლანიშვილი**

**არავინ იცის... რამდენად სწორად იქცევა ქალბატონი პრეზიდენტი, რამდენად უტყუარია მისი სამომავლო გათვლა საქართველოსთვის. ხომ ფაქტია, მინიმუმ ერთხელ მაინც რომ შეცდა მოვლენათა შეფასებაში, როდესაც 1992 წლის 7 იანვარს პარიზიდან „დიქტატორის" დამხობა და „დემოკრატიის გამარჯვება" მიულოცა კანონიერი პრეზიდენტის, ქვეყნის უდიდესი პატრიოტის ზვიად გამსახურდიას დამამხობელ სიგუას, კიტოვანსა და იოსელიანს. მაშინ ზვიადი იყო, თურმე, საქართველოს დემოკრატიის პირველი მტერი, ახლა კი ასეთად „ოლიგარქ" ბიძინა ივანიშვილს გვისახავს!!!**




# გადაბერებული ოპოზიციური პარტიები „გადაიღალნენ“!





## „მამუკა ხაზარაძის ბალნებია გეგელია, ნაცვლიშვილი, ბუაძე“...




ოპოზიციის რიტორიკაში უკვე სულ უფრო ნაკლები დრო ეთმობა სიტყვებს – „რუსეთუმე“, „ოლიგარქია“, „კლანი“. პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** აცხადებს: „როდესაც არჩევნები მოახლოვდა, ოპოზიცია მიხვდა, ხალხს რა სჭირდება. მიხვდნენ, რომ ის თემები, რომლითაც ცდილობდნენ გარკვეული მღელვარებები შეექმნათ, სინამდვილეში, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად არარელევანტურია. პარლამენტში ახსენეს ბავშვები, ეს ტერმინი მათთვის არც კი არსებობდა, მაშინ მათთვის რელევანტური არ იყო“.

**წამგებიანი რიტორიკის შემდეგ იქნება თუ არა მომგებიანი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გულუხვი წინასაარჩევნო დაპირებები და დაიჯერებს თუ არა ამომრჩეველი იმ ადამიანების ნათქვამს, რომელთაც აქამდეც შეეძლოთ სოციალური პასუხისმგებლობა ეტვირთათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს?**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძე არის კაჟაია ბულავა, რომელიც აუწევს ხელს თავის ბაღნებს და აყვირებს, ხაზარაძის ბაღნები კი არიან გეგელია, ნაცვლიშვილი, ბუაძე... თანამედროვე მევახშე კაჟაია ბულავა მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს, ამ არჩევნებში რაღაც ხმები მიიღოს, თუმცა ვერაფერს ვერ მიიღებს, რადგან ეს არის მევახშე წურბელა, მევახშე წურბელები კი ქართველ ხალხს არ უყვარს. რაც შეეხება გიორგი ვაშაძეს, ედიშერ გვენეტაძის თქმით, ვაშაძე აბსოლუტურად ბრიყვია.

**„ვაშაძეს სახელმწიფო მართვის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ამერიკაში ჩავიდა, იქ ვიღაცებს შეხვდა ეგ საწყალი, სადაც უთხრეს, ხელისუფლების შეცვლაში ჩვენ დაგეხმარებითო. ვაშაძეც ჩამოვიდა საქართველოში და დააბრეხვა ასეთი სისულელე – ამერიკაში გადაწყდა, საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოსო. ვეკითხები ამ მოპოლიტიკოსო ელემენტს, უძაღლო ქვეყანაში აყეფებულ კატას, საქართველოს კონსტიტუციის რომელ ნაწილში წერია, რომ საქართველოში ამერიკელებმა ან კანადელებმა უნდა შეცვალონ ხელისუფლება? სად ამოიკითხა ასეთი რამ ვაშაძემ? ასეთი ბრიყვების ადგილი საქართველოში არ არის და არც იქნება ოქტომბრის შემდეგ. სხვათა შორის, ვაშაძეს ჭიჭიკოს ვეძახი. ადრე, ჩემს ახალგაზრდობაში, სახელმწიფო ტაქსები იყო, ამიტომ კერძო მანქანას რომ გავაჩერებდით და წავიყვანდით სადმე, ვეძახდით, ჭიჭიკო წავიყვანეთო, ფულს ვაძლევდით და იმიტომ, ზუსტად ასეა ვაშაძეც, ფულს რაშიც უხდიან, იმას ლაპარაკობს. აქედან გამომდინარე, ჭიჭიკო ვაშაძეები შეიძლება იყვნენ ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ ისინი, უბრალოდ, საცირკო ელემენტებს წარმოადგენენ. ვურჩევდი ხაზარაძეს, რომელსაც ფული აქვს, იყიდოს ერთი დიდი „პალატკა“, გადახუროს, შევიდნენ შიგნით თავის ვაშაძეებიანად და ხალხი ცირკის საყურებლად მიიწვიონ. მათი დაპირება 1000-ლარიანი პენსიისა და სავსე მაცივრების შესახებ სიბრიყვეა“,** – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ჩვენთან საუბრისას ხუმრობით შენიშნავს, გიორგი ვაშაძე რომ ამბობს, მაცივარი სავსე იქნებაო, მაცივრის ზომაზე ამბობს რამეს?!

**„ხუმრობა იქით იყოს, მივესალმები, რომ ქართულმა ოპოზიციამ, ბოლოს და ბოლოს, ყურადღება მიაქცია მოსახლეობის ინტერესებს. მართალია, არავინ იცის, ჩვენმა ოპოზიციამ რეალურად სწორად გამოიცნო თუ არა ეს ინტერესები, მაგრამ ფაქტია, ცდილობენ, სიტყვიერ დონეზე მაინც გაითვალისწინონ ხალხის ინტერესები. თუმცა ეს მისასალმებელი ტენდენცია გამოწვეულია იმით, რომ არაფრის მომცემი არ აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის „რუსეთუმეს“ ძახილი. თვითონ ოპოზიციამ ყველაზე კარგად იცის, რომ არაფრის მომცემი ეს რეპლიკა არ არის, რადგან რეალურად ისიც კი ვერ დაამტკიცეს, ხელისუფლებას ჰქონდა თუ არა რამე კავშირი რუსეთთან“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ანალიტიკოსის მოსაზრებით, შეიძლება ვიღაცას კიდეც სჯერა, რომ 1000-ლარიან პენსიას მისცემს ხაზარაძე, ხოლო ვაშაძე მაცივარს გაუვსებს, მაგრამ, პრინციპში, არჩევნებიც ამიტომ ტარდება, რომ იმ პარტიას მისცენ ხმა, რომლისაც სჯერათ. რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ასეთ დაპირებებს დაიჯერებს, თვითონვე იქნება დამნაშავე იმაში, რასაც მიიღებს ამ გადაბერებული პარტიების ხელისუფლებაში მოყვანით.

**„გადაბერებულ პარტიებში ვგულისხმობ, რომ ქართველი ოპოზიციონერები რაღაც დაღლილები არიან, მოქმედების უნარი, სიახლის გრძნობა დაკარგული აქვთ. ამდენად, ძალიან საეჭვოა, მათ ამ არჩევნებზე შედეგი დადონ თუნდაც იმიტომ, რომ 2012 წლის შემდეგ სულ ეს პარტიები ფიგურირებენ, ამ ხნის განმავლობაში კი მათ არანაირი მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ“,** – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძე.**

**მანანა ნოზაძე**

**სათქმელი ვის უფრო მეტი აქვს წინასაარჩევნოდ, საზოგადოებისთვის, ხელისუფლებას თუ ოპოზიციას და ვის პოლიტიკურ ყულაბაში უფრო მეტი პიარ-თემაა? რაზე იქნება ხელისუფლების მთავარი წინასაარჩევნო სტრატეგია აგებული და როგორი იქნება ოპოზიციის მთავარი მესიჯები, რომლითაც ეცდებიან, საზოგადოებაში ხელისუფლებაზე უკეთესად გამოჩნდნენ?**

# „ქართული ოცნების“



## რა იქნება ხელისუფლების და ოპოზიციის წინასაარჩევნო სტრატეგია?!

**ანალიტიკოსები FOR.GE-სთან ამბობენ, რომ ხელისუფლების ყულაბაში ბევრი ისეთი თემაა, რომლის გამოყენებასაც მოახერხებს. მით უმეტეს, ახალი პრემიერის პიროვნებში დაიწყო სამთავრობო ცვლილებები და ისეთი ნაბიჯების გადადგმა, საზოგადოების თვალში, დამატებითი ქულების მომტანია.**

რაც შეეხება ოპოზიციას, მათი მდგომარეობა გაცილებით რთულად არის, რადგან კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, ხელისუფლების პრორუსულობაზე აპელირება გაჭირდება. თუმცა მათ აქვთ ორი ისეთი მნიშვნელოვანი თემა, რომლის გამოყენებასაც შეეცდებიან.

ხელისუფლებამ ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელიც ჯერ არ ჩამოყალიბებულა, რა კონფიგურაციით და როგორი ფორმით გავა არჩევნებზე, წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. დიდი ალბათობით, მმართველ გუნდში დაწყებული სამთავრობო ცვლილებები კვლავ არის მოსალოდნელი. როგორც ჩანს, კობახიძე არ აპირებს გუნდში იმ მინისტრების დატოვებას, რომლებიც მმართველ გუნდს პრობლემებს უქმნიან და საზოგადოებასთან ნაკლები კომუნიკაცია აქვთ. ასეთი კი ჯანდაცვის მინისტრი **ზურაბ აზარაშვილი** აღმოჩნდა, რომელმაც თანამდებობა დატოვა.

ასევე, დიდი ალბათობით, პრემიერის გუნდში ვერ იქნებიან კორუფციაში ეჭვმიტანილი მინისტრები და მათი მოადგილეები. კობახიძემ მოსვლისთანავე თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე** გაათავისუფლა, რომლის მიმართაც, არ არის გამორიცხული, გამოძიებაც კი დაიწყოს. გათავისუფლებულები არიან თავდაცვის მინისტრის და ეკონომიკის მინისტრების მოადგილეები, რომელთა ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებითაც კითხვის ნიშნები გაჩნდა. ამის პარალელურად, ხელისუფლებამ დაიწყო იმ სოციალური პრობლემების მოგვარება, რომელიც პენსიონერებს, ონკოლოგიურ პაციენტებს და სხვა პრობლემებს შეეხება.

მმართველი გუნდის თქმითვე, საპარლამენტო უმრავლესობას მიაჩნია, რომ ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს და ამისათვის საკანონმდებლო მექანიზმებიც გამოიყენოს. შესაბამისად, მიღებულია გადაწყვეტილება, რათა მომზადდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან დაიცავს.

კანონპროექტი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მომზადდება და დაინიცირდება პარლამენტში. სრულად იქნება დაცული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული პრინციპები და ნორმები.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა ექნება, რომელზეც სტრატეგიას ააგებს. ერთ-ერთი, რაზეც ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს, ეს ტრადიციულ ღირებულებებზე აგებული პროპაგანდა იქნება.

**„რა თქმა უნდა, ხელისუფლება ეცდება წინა პლანზე საარჩევნოდ გამოიტანოს ის თემები, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვა-**

Formula • ფორმულა

# ნახეთ, როგორ ასწრებენ ერთმანეთს ლობისტური ფირმების მოქრთამვაზე სააკაშვილის ოჯახი და ქურდბაცაცა „კეზერა“!..

**4 მარტი. 2024. ექსპერტი ელიშერ გვენეტაძე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლოგისტური კომპანიის მიერ გასული 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.**

ექსპერტის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი და დავით კეზერაშვილი, „ერთმანეთს ასწრებენ“ ლობისტური კომპანიების მოქრთამვას, რაც საქართველოში რუსულად შერაცხილმა FARA-ს კანონმა გამოავლინა.

**„ნახეთ! სად ხარჯავს ქართველი ხალხისათვის და ქართული ჯარისადმი წაგლეჯილ, მოპარულ ფულს ავაზაკი კეზერაშვილი და მისი ხროვა!**

**ნახეთ! სად წავიდა ამ უშუბლძარღვოთა მიერ მოპარული 420 ათასი დოლარი!**

**ნახეთ! როგორ ასწრებენ ერთმანეთს ლობისტური ფირმების მოქრთამვაზე სააკაშვილის ოჯახი და ქურდბაცაცა ყოფილი თავდაცვის მინისტრი კეზერა!**

**ეს ფაქტობრივი დანაშაული სწორედ აქაური მუქთამჭამელების მიერ ვითომდაც „რუსულად“ შერაცხილმა, სინამდვილეში კი ამერიკულმა „FARA“-ს კანონმა გამოამზეურა! ამიტომაც აუცილებელია საქართველოში ანალოგიური „FARA“-ს კანონის მიღება, რათა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან – კრემლიდან, ტაივანიდან, მანჯურიიდან, აშშ-დან, ბრიუსელიდან, პარიზიდან, ლონდონიდან, სომალიდან... ჩვენში ე.წ. უსამშობლო პარტიების, ენჯეოების და ფიზიკური პირებისთვის გადმორიცხული და აქედან მათ მიერ გადარიცხული თანხები გახდეს საჯარო და გამჭვირვალე!“.**

**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლოგისტური კომპანიის CORNERSTONE GOVERNMENT AFFAIRS-ის გასული 6 თვის განმავლობაში (სექტემბერი 2023 – თებერვალი 2024) განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა. დოკუმენტებით ირკვევა, რომ „კორნერსტოუნის“ ჯგუფი, რომელმაც ტელეკომპანია „ფორმულასთან“ კონტრაქტი 2023 წლის მაისში გააფორმა, აქტიურად ცდილობდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მიკერძოებული ინფორმაციის მიწოდებას აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლებისთვის.**






# 420.000 დოლარად გაყიდული სახელმწიფო ინტერესები

„ტელეკომპანია „ფორმულა“ რომ პოლიტიკური მოთამაშეა, პარტიული ინტერესების გამტარი სუსტი, მაგრამ მაინც მედია ძალაა, ამაზე აღარავინ კამათობს.

აღნიშნული აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის **Cornerstone Government Affairs**-ის (სექტემბერი 2023 – თებერვალი 2024) განხორციელებული საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციითაც დადასტურდა. დოკუმენტებით ირკვევა, რომ „კორნერსტოუნის“ ჯგუფი, რომელმაც ტელეკომპანია „ფორმულასთან“ კონტრაქტი 2023 წლის მაისში გააფორმა, აქტიურად ცდილობდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მიკერძოებული ინფორმაციის მიწოდებას აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლებისთვის. „ფორმულას“ ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ჯეიმსთაუნის ფონდის, ბრუკინგსის, ჰადსონის ინსტიტუტის, მაკკეინის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

სავარაუდოდ, ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენლებმა მიკერძოებული გზავნილები გააჟღერეს სენატის და კონგრესის თანამშრომლებთან.

აღნიშნულ მომსახურებაში ლობისტური ჯგუფი ჯამში დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარს იღებს ($420,000). ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ 420,000 დოლარად გაიყიდა ქართული სახელმწიფოს მთავარი ინტერესები. კერძოდ, პოლიტიკური სტაბილურობა და ქვეყანაში მშვიდობა. ფაქტია, ტელეკომპანია ფორმულა მოქმედებს დესტრუქციული მიზნებით და ეს მიზანმიმართული ქცევა ყოველ ჯერზე ეწინააღმდეგება ქართულ ინტერესებს“.

**თამთა მეგრელიშვილი**

Formula • ფორმულა

# მუქთა იყოს — კუბო იყოს!

„ოფშორმედიის“ კოლექტივის გულების გასახეთქი მორიგი მონაცემები გამოაქვეყნა რუსულ/ამერიკულმა **FARA**-მ: „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის **Cornerstone Government Affairs**-ის ანგარიშზე გასული 6 თვის განმავლობაში (სექტემბერი 2023 – თებერვალი 2024) მორიგი 420 ათასი დოლარი ჩაირიცხა.

მსგავსად მანამდე ჩარიცხული ნახევარი მილიონისა, ეს თანხაც მოხმარდა აშშ-ის მედიასივრცეში „ოფშორ**TV**“-ს საქმიანობის პოპულარიზაციას და საქართველოზე ტენდენციური და დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებას. ამერიკაში საარჩევნო წელიწადის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის რიგებში „ფორმულას“ მიმართ ინტერესის გაღვივება თუ საქართველოს შიდა სამზარეულოს ამსახველი გინდ აბსოლუტური სიმართლის შემცველი ახალი ამბების ტირაჟირება – ალბათ შეიძლება ისეთ სიგიჟეს შევადაროთ, როგორიც იქნებოდა მაგალითად **CNN**-სთვის ნახევარსაათიანი სიუჟეტის შეკვეთა წალენჯიხაში მიმდინარე მუნიციპალური პროექტების შესახებ.

საქართველოს სატელევიზიო რეიტინგების ფსკერზე მყოფი „ოფშორ**FARA**“-ს მფლობელი რაში ხარჯავს თანხას, რომელიც „ფორმულას“ კოლექტივის დაახლოებით 100 თანამშრომლის წლიურ სახელფასო ბიუჯეტს აღემატება – მართლაც გაუგებარია. თუმცა, რა ჩემი (ჩვენი) საქმეა. ისღა გვრჩება, კეზერას ამერიკელი ლობისტების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გვახარებდეს, პრინციპიდან: „მუქთა იყოს – კუბო იყოს“...

**დავით ქართველიშვილი**

# უპირატესობა თვალსაჩინოა!

**ნია და იცის, რომ ეს თემები ქართველ ხალხში ძალიან სენსიტიურია. ერთ-ერთი ასეთი ტრადიციულ ღირებულებებზე აქცენტის გაკეთება იქნება და საუბარია იმაზე, რომ „ოცნება“ ამ ღირებულებების დამცველია.**

**აუცილებლად მოექცევა წინა პლანზე კორუფციის თემა. მხოლოდ წალენჯიხის მერის მოადგილის კორუფცია ამას არ უშველის. თუმცა, ეს კორუფცია იერარქიულად რა დონეზე აიწევს, ეს ისევ და ისევ საზოგადოებრივ განწყობებზე იქნება დამოკიდებული“,** – ამბობს **ძაბირაძე.**

მისივე თქმით, თუკი საჭირო გახდება, არც იმას გამორიცხავს, რომ დასაჭერ კანდიდატთა სიაში მინისტრებიც აღმოჩნდნენ.

**„კორუფციის თემის გასანეიტრალებლად ველი, რომ ხელისუფლება ვიღაც-ვიღაცებს გაწირავს. იქნება აუცილებლად სოციალური საკითხებიც და დაპირებები მომავლისთვის. რა თქმა უნდა, ასევე გამოიყენებენ იმ თემასაც, რომ ოპოზიცია არჩევნებს ვერ მოიგებს და ის აპირებს რევოლუციურ სცენარზე წასვლას.**

**პოლიტიკური ველის პოლარიზებით კი ყოველთვის „ოცნება“ იგებს, რადგან ნაციონალების უკან დაბრუნება მოსახლეობის დიდ ნაწილს კვლავ არ სურს. მე ვფიქრობ, „ოცნება“ ყოველ კვირა კვლევებს ატარებს. ხოლო, ამ კვლევების მიხედვით, რომელი მინისტრი ან სამინისტრო ვერ ასრულებს სათანადო უფლება-მოვალეობას, მას გაუშვებენ. წინასაარჩევნოდ პრობლემების შექმნელი მინისტრები არავის სჭირდება“,** – ამბობს **ძაბირაძე.**

რაც შეეხება ოპოზიციის სტრატეგიას და იმას, თუ რა ექნება მათ სათქმელი საზოგადოებისთვის, ძაბირაძე ამბობს, რომ ოპოზიციისთვის ხელისუფლების პრორუსულობაზე აპელირება ნაკლებად ჭრის, მით უმეტეს კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ. ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ოპოზიციის ხაზი ზუსტად კორუფციის თემა იქნება, რომლის გამოყენებასაც წინასაარჩევნოდ შეეცდებიან.

**„ოპოზიცია, რა თქმა უნდა, კორუფციის თემას გამოიყენებს. ასევე, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე გააკეთებს ძირითად აპელირებას. „ლელოს“ ათასლარიანმა პენსიამ, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტებისთვის ეს ამბავი არარეალურია, საზოგადოებაში მაინც იმუშავა. იმდენად დიდია ამ თემაზე ხელისუფლების მხრიდან დარტყმები, რომ, სავარაუდოდ, ამ დაპირებამ საზოგადოებაზე იმუშავა. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ამის ანალიზი რთულია.**

**ოპოზიცია უფრო პრაგმატული და კონკრეტული უნდა იყოს, სხვაგვარად საზოგადოებამდე მისატანს ვერ მიიტანს. მაგალითად, როგორც მოხდა „მარშალის გეგმის“ შემთხვევაში, რომელიც „ლელოს“ ჰქონდა. იმერელ გლეხს საერთოდ მარშალი შესაძლოა სამხედროც ჰგონია და არა გვარი. ამიტომ სჯობს, საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე ისაუბრონ, რადგან ხელისუფლება გამოდის, რომ უკეთესად ახერხებს ხალხის რაღაცებში დარწმუნებას, ვიდრე ოპოზიცია, მით უმეტეს, ოპოზიციის მიმართ უნდობლობა დიდია“,** – ამბობს **ძაბირაძე.**

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** კი მიიჩნევს, რომ „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ რამდენიმე თემა ექნება, რომელზეც სტრატეგიას ააგებს. ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ ეს არ იქნება კორუფციის თემა, რადგან გამოვა, რომ მაშინ „ოცნება“ მისი ხელისუფლების პირობებში კორუფციის არსებობას აღიარებს, თუმცა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით მოხდება.

**„ხელისუფლება აპელირებას კვლავ მშვიდობის თემაზე დაიწყებს. მეტი ყურადღება იქნება ომის თავიდან აცილებაზე გადატანილი. ეს არის ხელისუფლების სერიოზული კოზირი, რომლის გამოყენების საშუალებასაც ოპოზიცია შესანიშნავად აძლევს. „ოცნება“ ისევ გააგრძელებს იმაზე საუბარს, რომ ყველაფერი გააკეთეს, რათა ქვეყნისთვის ომი აეცილებინათ. ეს თემა მომგებიანია, რადგან ოპოზიციამ მშვიდობის და ომის თემა ხელისუფლებას გადაულოცა. როცა უნდა ეჩივლათ და ეთქვათ, რომ აბა, ვინ არის „გლობალური ომის“ პარტიის წევრი და ა.შ. პრაქტიკულად, ოპოზიციამ ხელისუფლებას ყველაფერი შეარჩინა, დაემორჩილა და დანებდა, ამიტომ ეს თემა მმართველი გუნდის არის.**

**„ოცნება“ ძალიან კარგად გამოიყენებს წინასაარჩევნოდ კანდიდატის სტატუსის მიღებას, ვიზალიბერალიზაციას. ესეც ოპოზიციამ ხელისუფლებას დაუთმო, რადგან ვიცით, რა განცხადებებსაც აკეთებდა ოპოზიცია, რომ მათ არ სურდათ კანდიდატის სტატუსი მიგვეღო. ამბობდნენ, რომ დადიოდნენ ბრიუსელში და ქვეყნისთვის ძირის გამოთხრას ცდილობდნენ. ნაწილობრივ, ეს ოპოზიციაშიც დაადასტურეს. ამიტომ ხელისუფლებას აქვს ბევრი ისეთი კოზირი არჩევნებისთვის, რომელიც არა აქვს ოპოზიციას.**

**ახლა დაიწყო სამთავრობო ცვლილებები და „რესპუბლიკური საავადმყოფოს“ თემას შესწირეს ჯანდაცვის მინისტრი. მსგავსი სოციალური საჩუქრები საზოგადოებისთვის იქნება და ამით ოპოზიციას დამატებით ბერკეტებს გამოაცლიან“,** – ამბობს **ზაქარეიშვილი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# რეპრესიები დაანონსებულია, სამიზნეები ცნობილია



ასლან ბჟანია

**„საჭიროა, ბატონებო, საჭიროა. მოსკოვი მოითხოვს, მას ვერ ვაწყენინებთ. ვერ გადავრჩებით მის გარეშე, გავქრებით, აღვიგვებით პირისაგან მიწისა. ეგერ, ენგურსგაღმელი მტერი დღენიადაგ ილესავს კბილებს წყეული დასავლეთის მიერ ნაჩუქარი უზარმაზარი კბილის ჯაგრისით. რა გადაგვარჩენს ასეთ დროს რუსეთის გარეშე, თუ გაგვინაწყენდება და ზურგს შეგვაქცევს? ასე რომ, მორჩით შეშფოთება-აღშფოთებას. სტრატეგიულ მეგობარს ყველაფერი უნდა მივცეთ, რასაც მოინდომებს, ჩვენი სუვერენიტეტის ჩათვლით. და ყველაფერში მას უნდა მივბაძოთ – ხომ უნდა შევესაბამებოდეთ მის მაღალ დონეს? ხოლო თუ ეს ვინმეს არ მოსწონს, ის ვინმე აფხაზეთის კეთილმოსურნე ვერ იქნება. ის მტერია, შიდა მტერი, დაკავშირებული გარე მტრებთან და უნდა დაისაჯოს, უპირველესად კი დადუმდეს, რათა ხალხს ტვინს აღარ ურევდეს და არ აგიჟებდეს... მორჩა! გადაწყვეტილია! წერტილი!“**

**დაახლოებით ასეთი იყო აფხაზეთის „პრეზიდენტ“ ასლან ბჟანიას ძირითადი გზავნილი რუსეთიდან ამასწინანდელი დაბრუნების შემდეგ. მართალია, მოსკოვში ის თითქოს საწვავზე რუსული მონოპოლიისა და ენერგოკრიზისის საკითხების მოსაგვარებლად იყო წასული, მაგრამ ამ კუთხით ვიზიტის შედეგების ნაცვლად ბჟანიამ ხალხს რუსეთის წინაშე მორიგი „გარკვეული ვალდებულებების“ შესახებ აცნობა.**

კერძოდ, მისი თქმით, „აუცილებელია“, მთელმა აფხაზეთმა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქტიურად მისცეს ხმა „მხსნელსა და მამა-მარჩენალ“ ვლადიმირ პუტინს. გარდა ამისა, „ვალდებულებაა“, აფხაზეთში სრულად მოისპოს სიტყვის თავისუფლება, რათა მოსკოვს რესპუბლიკის საბოლოო ანექსიაში აღარავინ და აღარაფერმა შეუშალოს ხელი, ეს პროცესი „ზედმეტი ხმაურის გარეშე“ გაგრძელდეს, სამომავლოდ კი კრემლს საფუძველი ჰქონდეს, მსოფლიოს ეს ანექსია „თავად აფხაზი ხალხის უმორჩილეს თხოვნად“ მიასაღოს.

იმაზე, თუ რა გადაწყდა მოსკოვში საწვავისა და ელექტროენერგიის კუთხით, რუსეთიდან დაბრუნებულ ბჟანიას დე ფაქტო გენპროკურატურის კოლეგიის სხდომაზე არ უსაუბრია. და ეს ალბათ, არცაა გასაკვირი – ბოლოს და ბოლოს, სხდომა ხომ „გენერალურ პროკურატურაში“, ამ უწყების საკითხებზე იმართებოდა. გასაკვირი ისაა მხოლოდ, რომ იმავე სხდომაზე „პრეზიდენტმა“ უხვად აფრქვია წმინდად პოლიტიკური განცხადებები და შეკრებილთ, პირველ რიგში, ის განუცხადა, რომ აფხაზეთში „მომრავლდნენ ძალები, რომლებიც სტრატეგიულ პარტნიორ რუსეთთან ურთიერთობებს აყენებენ დარტყმებს“. ამ კონტექსტში ბჟანიამ გაიხსენა ყარაბაღი, „უსახლკაროდ დარჩენილი ხალხები“, საბოლოოდ კი მივიდა იქამდე, საითაც მიჰყავდა: ყველა, ვინც ბედავს, გააპროტესტოს კრემლთან „ხელი ხელს ჰბანს“ პრინციპით მოთანამშრომლე აფხაზური მმართველი გუნდის პოლიტიკა, უნდა დადუმდეს - თუ ნებით არა, მაშინ ძალით!

მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს იმ სხდომაზე ბჟანიას გამოსვლიდან:

**„აფხაზეთში გაჩნდნენ ძალები, რომლებიც გამიზნულად ებრძვიან ჩვენს ურთიერთობებს პრაქტიკულად ერთადერთ მოკავშირესთან. ყოველ ჯერზე, როცა რუსეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიეთობების რაღაც საკითხების განხილვას ვიწყებთ, აფხაზეთში საინფორმაციო შეტევა გორდება. ეს ჩვენს რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის მორყევის მიზანმიმართულ კოორდინირებულ კამპანიაზე მიუთითებს“; „ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ხელისუფლებაზე ამბობენ ყველაფერს, რაც თავში მოუვათ და დაუსჯელები რჩებიან“...**

ასლან ბჟანიამ მაგალითად სამოქალაქო აქტივისტი **ჯანსუღ ადლეიბა** მოიყვანა, რომელიც სოხუმში, ცენტრალურ მოედანზე დე ფაქტო ხელისუფლების ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს აპროტესტებს.

**„აგერ, არსებობს მოქალაქე გვარად ადლეიბა, რომელიც ცენტრალურ მოედანზე გვიზის. ამას წინათ მან საჯაროდ განაცხადა, ვითომდა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ბიჭვინთის აგარაკების რუსეთისთვის გადაცემის სანაცვლოდ 3 მლრდ რუბლი ავიღეთ... აი, ასე აგიჟებენ ხალხს! და ვინ უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება – ჩემმა შვილებმა? ნათესავებმა? თუ გაგვაჩნია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც მსგავსი სახის დანაშაულების აღსაკვეთად შესაბამისი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ?“** – განუცხადა პროკურორებს **„პრეზიდენტმა“.**

მისი რისხვის ქვეშ მოექცა ასევე ეკონომისტი **ახრა არისთავა**, რომელმაც ამას წინათ აფხაზეთის საკუთარ ფულად ერთეულზე – აფსარზე გადასვლის საჭიროების შესახებ განაცხადა, კერძოდ, აღნიშნა, რომ აუცილებელია, რესპუბლიკაში რუსულ რუბლთან ერთად აფხაზური აფსარიც იყოს მიმოქცევაში. რამდენად მართებულია მისი იდეა ეკონომიკური თვალსაზრისით – სხვა საკითხია, მაგრამ ასლან ბჟანიამ არისთავაც ლამის „სახელმწიფოებრიობასთან გამიზნულ ბრძოლაში“ დაადანაშაულა და პროკურორებს რეაგირება მოსთხოვა:

ამასთან, იმის გამო, რომ მმართველი გუნდის პოლიტიკით უკმაყოფილოებს დღემდე აქვთ აფხაზეთში საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა, „პრეზიდენტმა“ შესაბამისი ორგანოები „უკბილობაში“ დაადანაშაულა და პროკურორებს მოსთხოვა, **„შიდა მტრების წინააღმდეგ მიმართონ ორივე მახვილი, რომელიც გენერალური პროკურორის ემბლემაზეა გამოსახული“.**

ამბობენ, რომ სხდომაზე მყოფი პროკურორებიც კი „პრეზიდენტის“ განცხადებებს დამრგვალებული თვალებით უსმენდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქცია ექნებოდა ოპოზიციასა და საზოგადოებრიობას..

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე გამოხმაურებას. ოპოზიციურ პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმში“ განაცხადეს, რომ ბჟანიას **„სპეკულაციური რიტორიკა კიდევ უფრო არყევს ისედაც არასტაბილურ გარემოს“, ხოლო მისი განცხადებები „აფხაზეთში ვითომდა ანტირუსული ძალების არსებობის შესახებ თავად აყენებს სერიოზულ ზიანს რესპუბლიკის საერთაშორისო იმიჯსა და აფხაზეთ-რუსეთის დროით გამოცდილ ურთიერთობებს“.** თავის მხრივ, საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწე **ახრა ბჟანია** ეკონომისტ ახრა არისთავაზე „პრეზიდენტის“ შეტევას გამოეხმაურა შემდეგი ტექსტით:

და ახრა ბჟანია ერთადერთი არაა, ვინც ბჟანიას ხსენებული მოთხოვნა „პრეზიდენტის“ სხვა მოსკოვურ ინიციატივებს დაუკავშირა. ბევრმა, მაგალითად, ბჟანიას განცხადება მის მიერ ამასწინათ „პარლამენტისთვის“ წარდგენილი „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონის მისაღებად პროპაგანდისტული საფუძვლის შექმნის მცდელობად შეაფასა.

მიუხედავად ამისა, პროცესს სვლა მიეცა, თანაც მყისიერად. ასლან ბჟანიას ბრძანების აღსასრულებლად აფხაზეთში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვას შეუდგნენ. სისხლის სამართლის კოდექსის 124 – ცილისწამების მუხლი, რომლის გამოყენებაც სურთ დე ფაქტო ხელისუფლების კრიტიკოსთა დასადუმებლად, ასევე რუსული ანალოგიით შეირჩა.

კანონპროექტის ავტორები სთავაზობენ „დეპუტატებს“, ცილისწამებაზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამკაცრდეს, სასჯელის სახით „გამოსასწორებელი სამუშაოები“ გაუქმდეს და ჩანაცვლდეს 500 ათასი რუბლის ოდენობის ჯარიმით ან 5 წლამდე პატიმრობით. ამასთან, გათვალისწინებულია ისეთი საინკვიზიციო ზომა, როგორიცაა საჯარო უარყოფა „დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში“.

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები გააპროტესტეს არა მარტო რიგმა „დეპუტატებმა“, არამედ იურისტებმა და სახალხო დამცველის ოფისმაც.

შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები გააპროტესტა ოპოზიციამაც. კერძოდ, ვეტერანთა გაერთიანება „არუაას“ ლიდერმა **თემურ გულიამ** კანონპროექტი **„სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების შელახვის ინსტრუმენტად“** შეაფასა. ეს ხედვა გაიზიარეს სხვა ოპოზიციონერებმა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმაც.

განხილვის შედეგად „საპარლამენტო“ კომიტეტმა არ გასცა დადებითი რეკომენდაცია სესიაზე ხსენებული კანონპროექტის დასამტკიცებლად. საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დღესაც აგრძელებდნენ აფხაზი კანონმდებლების გაფრთხილებას ხსენებული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში მოსალოდნელი სავალალო შედეგების შესახებ.

მოკლედ, ეს საკანონმდებლო ცვლილებები სხვა არაფერია, თუ არა ნაბიჯი პატარა მახინჯი დიქტატურისკენ და მორიგი გადაწყვეტილება ძალაუფლების შესანარჩუნებლად“ – წერს სოცქსელში აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი თენგიზ ჯოპუა.

როგორც ჟურნალისტი **იზიდა ჭანია** აღნიშნავს, **„აფხაზეთში მედიის კუთხით უკვე ურთულესი ვითარებაა, საინფორმაციო ველი ყოველდღიურად ვიწროვდება, ცილისწამების შესახებ მუხლში შემოთავაზებული ცვლილებები კი საკონტროლო გასროლა იქნება“. „თუ პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, აფხაზეთში ყოველგვარ დემოკრატიაზე შეწყდება საუბარი“** – წერს **ჟურნალისტი.**

**ეკა ცანავა**

## ინალ არძინბა: საქართველოს გონიერი მთავრობა ჰყავს, ომი არავის სჭირდება!



**სოხუმის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა ამბობს, რომ საქართველოს გონიერი მთავრობა ჰყავს და ომი არავის სჭირდება,** ამის შესახებ არძინბამ რუსეთის ფედერაციაში ვიზიტის დროს განაცხადა, ინფორმაციას **„ეხო კავკაზა“,** ავრცელებს.

ამასთანავე, არძინბა ამბობს, რომ ამერიკელების მითითების მიხედვით, საქართველო ჟენევის დისკუსიების ფარგლებში ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას ხელს არ აწერს.

**„ჩვენ აფხაზები, ვსვამთ შეკითხვას – რატომ არ აწერენ ხელს ამ შეთანხმებას? ნუთუ საქართველო ომს აპირებს? ან ამერიკელებს მეორე ფრონტის გახსნა სურთ? არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ ამერიკელებს მეორე ფრონტის გახსნა სურთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს გონიერი მთავრობა ჰყავს, ომი არავის სჭირდება, მათ შორის არც საქართველოს. დღეს არსებული სამართლებრივი ბაზით აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგრესიას ნიშნავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ამას არ გააკეთებს“,** – განაცხადა დე ფაქტო მინისტრმა.

ინალ არძინბამ ასევე სოხუმის და მინსკის კონტაქტებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთი ბელარუსთან დიპლომატიურ ურთიერთობებს დაამყარებს. მანამდე მოსკოვში, სოხუმსა და ცხინვალში რამდენჯერმე განაცხადეს, რომ საქართველოს მთავრობა პრაგმატულად იქცევა და თბილისი „ნაციონალური ინტერესებით ხელმძღვანელობს და ანტირუსულ ისტერიას აყოლილი არ არის“.



# კარგი, ძალიან კარგი, აუცილებელი წიგნი







**როგორ ჰგვანან ერთმანეთს წიგნი და ავტორი – როგორ ჰგვანან...**
**დიახ, უნდა წერო ისე, იაზროვნო იმგვარად, რომ არ იტანჯო.**
**და არც მკითხველი უნდა დატანჯო.**
**ჰო, ისეთი წიგნი უნდა დაწერო, რომ...**

აი მაშინ, რაციონალური კონცეფციის უმთავრესი შეკითხვა – „როგორია“! – მასზე გააზრებული, გულწრფელი და ობიექტური პასუხი ძალიან სწრაფად, რომანტიკულ პათოსში ყველას გასაგონად უნდა თქვა – „შეუდარებელი“.

კი, ასეთი წიგნის კატეგორიიდანაა!

ხოლო ერთხელაც, როცა ინტუიციას „გარიდებულს“, ინტელექტმა მერამდენედ შემოუტია ჩემი სხეულის გონიერ ნაწილს და ვცადე, გამერკვია, თუ რა ფასეულობები განაპირობებდა ამ წიგნის მაღალ სტანდარტს, მივხვდი იმას, რომ მსგავსი ნაშრომის შექმნაში მხოლოდ თავისუფალი, სამეცნიერო კლიშეებისგან თავისუფალი მეცნიერის ხელი ერია.

სწორედ მსგავსი ბუნების მატარებელი ადამიანის შესაძლებლობებშია „საზღვარდადებულ“ ფეტიშად ქცეულ კატეგორიებთან „დაზავებაზე“, უარის თქმა.

ჰო, ასეთი ავტორია!

არადა, ადამიანს სჭირდება თავშესაფარი – საიმედო თავშესაფარი.

და სადაა ის?

სულში?

იქნებ – გონებაში?

ან სულაც, ფიზიკურ საცხოვრისში?

ახლა ფიქრებზე „ამხედრებულს“ მხოლოდ ერთი კითხვა „მომყვება“ ფეხდაფეხ:

მისწრაფებათა ამგვარ „პოლიფონიაში“ რომელ „სავანეს“ მიაკითხავდა წიგნის ავტორი?

რა თქმა უნდა, ისტორიას – საქართველოს ისტორიას.

ჰო, წიგნი საქართველოს ისტორიაზე, ქართველ მეფეებზე – ბაგრატიონ მეფეებზეა.

დიახ, ბაგრატიონი მეფეები, რომლებიც ქართველი ხალხის ცნობიერებაში დარჩნენ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის სიმბოლოებად.

ნაშრომში მთელი სისავსითაა წარმოდგენილი ბაგრატიონ მეფეთა ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკინიმიკური და კულტურული ცხოვრების უწყვეტი პროცესი.

ასევე მათი თავდაუზოგავი ბრძოლა მრავალგვარი წარმომავლობის მომხვდურთან.

აქვე, ძალიან ორიგინალურ „ფორმატშია“, გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რა იყო ის „იდუმალი ძალა“, რომლის წყალობითაც მან შეძლო და დაიცვა საკუთარი თვითმყოფადობა, შეინარჩუნა იდენტობა და რელიგიური მრწამსი.

ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ცარისტული რუსეთის „საქმენი საგმირონია“.

და მთელი ის პერიპეტიებიც, რაც მათ ვერაგულ, შოვინისტურ პოლიტიკას თან სდევდა ამ ქვეყანაში.

ნაჩვენებია ისიც, რომ მიუხედავად ასეთი მზაკვრული პოლიტიკისა, ქართულ სულს, ქართულ გენს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

მთლიანობაში, ორტომეულში წარმოდგენილია ერთიანი საქართველოს – ქართლის, კახეთის, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოსა და იმერეთის მეფეთა ისტორია-დიდი ისტორია.

დიახ, მეფეთა ცხოვრება, რომლებიც უმაღლესი ზნეობის, პიროვნული სიმტკიცისა და თავგანწირვის მაგალითებით დღემდე ამდიდრებენ ქართველი ხალხის ისტორიას.

ამასთან, უამრავი განუმეორებელი ფერი შემოიტანეს საქართველოს ისტორიის უკვდავ პანთეონში.

ამ ყველაფერზე და კიდევ არაერთ საინტერესო, საჭირბოროტო საკითხზეა მსჯელობა და სრულიად განსხვავებული, ორიგინალური აზრები გამოთქმული ამ მართლაც დიდებულ ორტომეულში.

ჰო, ეს წიგნი ავტორის შესაძლებლობების ერთგვარი დემონსტრირებაა – ამოუწურავი შესაძლებლობების დემონსტრირება და, მერე მკითხველისთვის მისი ინტელექტუალურ-ესთეტიკურ ფორმატში მიწოდების გადასარევი ფორმაც.

და, როცა ამ ყველაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ერთი განცდა, ერთი ემოცია მიპყრობს:

ეს ავტორის „ტერიტორიაა“, მშობლიური ტერიტორია, სადაც მუდმივად „თამაშობენ“ ინტელექტი, ერუდიცია და ღირსება.

და საკუთარი ქვეყნის, მშობლიური ისტორიის – გაუნელებელი სიყვარულიც აქვე „ტრიალებს“.

და როგორ დასტყობია ეს ყველაფერი წინამდებარე ორტომეულს.

დიახ, არსებობს კარგი, ძალიან კარგი და... და აუცილებელი წიგნი.

აუცილებელი იმ გაგებით, რომ კარგიცაა, ძალიან კარგიც და აუცილებელიც ჯერ მკითხველისთვის, მთლიანობაში კი – ქვეყნისთვის.

ჰო, ასეთ წიგნებს იშვიათ წიგნებს ეძახიან, რადგან მსგავსი წიგნები, სამწუხაროდ, იშვიათად იწერება და მას გამორჩეული – აზროვნებით, ერუდიციით, ინტელექტით გამორჩეული ადამიანები (მეცნიერები) ქმნიან.

სწორედ ამ კატეგორიაშია ისტორიკოსის, მეცნიერის, უბრალოდ, დიდი კაცის – ბატონი ავთანდილ წოწკოლაურის შეუდარებელი ორტომეული „საქართველოს მეფეები“ (რედაქტორი – როინ მეტრეველი).

ჩვენ წინაშე, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველის წინაშე დევს ფრიად ორიგინალური, თავისუფალი აზროვნების კლასიკური ნიმუში.

წასაკითხი წიგნია – აუცილებლად წასაკითხი!

ნამდვილად დაამშვენებს თქვენ საოჯახო ბიბლიოთეკას!



**პაატა გერგაია,**
**ისტორიის დოქტორი, პროფესორი**

# აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდები ნორვეგიაში გაცვლითი პროგრამით მიიწვიეს

**ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი აჭარის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს ნორვეგიაში ერთკვირიან გაცვლით ბანაკში მონაწილეობას სთავაზობს, რომელიც 12 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება.**



პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდა გაატარებს 7 დღეს ნორვეგიაში „Embrace, Engage, Empower: Youth Mental Wellness Exchange“ ბანაკში.

პროექტის განხორციელებამდე, შერჩეული ახალგაზრდა ჩაერთვება სამუშაო პროცესში და თავად მიიღებს მონაწილეობას აქტივობების შემუშავებაში. პროექტის ფარგლებში შეირჩევა 8 ახალგაზრდა აჭარის რეგიონიდან. ისინი ნორვეგიელ, უკრაინელ და მოლდაველ თანატოლებთან ერთად გაატარებენ ერთ კვირას ნორვეგიაში.

# ოლიმპიური რეზერვების ცენტრის განახლება წლის ბოლოს დასრულდება

**როგორც ვიცით, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა გლდანში მდებარე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრი მოინახულა და რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო მინისტრის პირველ მოადგილე იოსებ ბაღათურიასა და საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დირექტორ გორის ფირცხელიანთან ერთად.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ხელშეწყობით მიმდინარეობს. რეაბილიტაციის პირველი ეტაპი მოზარდ სპორტსმენთა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციასა და ორი ახალი შენობის მშენებლობას მოიცავს. სპორტსმენების საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციასთან ერთად შენდება ძიუდოს ახალი დარბაზი და ორსართულიანი მულტიფუნქციური ახალი შენობა, სადაც კრივსა და სხვა სპორტის სახეობებში შესაძლებელი იქნება ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა მომზადება. ცენტრში მომზადებას 120-ამდე განსაკუთრებული სპორტული მონაცემების მქონე ბავშვი უსასყიდლოდ შეძლებს როგორც დედაქალაქიდან, ასევე – რეგიონებიდან.



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრის რეაბილიტაციას საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს. პროექტის ბიუჯეტია 6 500 000 ლარი. სპორტული ბაზა 1959 წელს გაიხსნა და იქ არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღიზარდა, თუმცა ცენტრის რეაბილიტაცია მისი გახსნის შემდეგ არ განხორციელებულა. მასშტაბური სამუშაოები სამინისტროს ხელმძღვანელობით 2023 წელს დაიწყო და 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

# ბასკეთი და საქართველო კიდევ უფრო დაემეგობრდნენ

**საქპატენტის წარმომადგენლებმა ბასკეთ-საქართველოს გასტრონომიულ კონგრესში მიიღეს მონაწილეობა. 2024 წლის მთავარი კულინარიული მოვლენა – Culinary Connection Euskadi-Georgia, რომლის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ საქპატენტი, კახეთში 2-3 მარტს გაიმართა.**

კონგრესის მიზანი იყო საქართველოსა და ბასკეთის ტრადიციული კულინარიისა და ღვინის წარმოჩენა თანამედროვე ტენდენციებისა თუ მეთოდოლოგიების გათვალისწინებით, ასევე ენოგასტროტურიზმის, ქართული სამზარეულოს განვითარება და გამოცდილების გაზიარება.

ღონისძიება ხელს შეუწყობს ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებითა და ადგილწარმოშობის დასახელებებით ნიშანდებული პროდუქციის პოპულარიზაციას, მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ქვეყნებს შორის კულინარიული კულტურის მიმართულებით კავშირების დამყარებასა და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა კონგრესის ფარგლებში მოწყობილი პანელური დისკუსიები, პრეზენტაციები, კულინარიული შოუ, რომელსაც ცნობილი ბასკი და ქართველი შეფ-მზარეულები უძღვებოდნენ. მასტერკლასები ჩაატარეს ბასკეთისა და საქართველოს წამყვანი რესტორნებისა და სასტუმროების მასტერშეფებმა და სომელიებმა.

პროექტის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა ქართულ პროდუქციაზე. კერძოდ, გეოგრაფიული აღნიშვნებითა და ადგილწარმოშობის დასახელებების ნიშნით დაცული პროდუქტებით მასტერშეფებმა მოამზადეს კერძები, ასევე აღნიშნული პროდუქტები გამოიფინა კონგრესის ღონისძიებათა დარბაზში, სადაც საქპატენტის საექსპოზიციო კუთხეც მოეწყო.



# მაკრონმა ანტირუსული ლიდერის მანტია მოისხა...



**პარიზში კიევის მხარდამჭერი სამიტი შედგა, რომელსაც 20-მდე ქვეყნის ლიდერი დაესწრო. შეხვედრაზე, უკრაინისთვის პოლიტიკურ, ფინანსურ და სამხედრო დახმარებაზე იმსჯელეს. საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, კანადამ და ბრიტანეთმა უკრაინასთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. უკრაინის შეიარაღების უზრუნველსაყოფად, კოალიციის შექმნა გადაწყდა.**

ევროპელი ლიდერები შეთანხმდნენ, უკრაინას საშუალო და შორი მანძილის რაკეტები გადასცენ. აშკარა იყო მასპინძელი ქვეყნის განსაკუთრებული აქტიურობა. F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების უკრაინისთვის მიწოდების საკითხის განხილვისას, მაკრონმა განაცხადა, რომ საფრანგეთი, ასევე, განიხილავს თავისი საბრძოლო თვითმფრინავების, მირაჟების, მიწოდებას უკრაინისთვის, მაგრამ სამიტის კულმინაცია მაკრონის სხვა გამოსვლა აღმოჩნდა, რომელიც იმდენად სენსაციური იყო, რომ დღემდე მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს.

აი, რა თქვა მაკრონმა: **დღეს, არ არსებობს შეთანხმება უკრაინაში სახმელეთო ჯარების ოფიციალურად გაგზავნაზე, მაგრამ, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ, შეიძლება, დადგეს დრო, როცა ნატოს წევრ ქვეყნებს, უკრაინის დასახმარებლად, ჯარების გაგზავნაც დასჭირდეთო. მაკრონის თქმით, ევროპის უსაფრთხოებისთვის, რუსეთის დამარცხება აუცილებელია. მაკრონს დასავლეთის, თითქმის, არც ერთი ლიდერი არ დაეთანხმა. შოლცმა, ბაიდენმა და სტოლტენბერგმა განაცხადეს, რომ არავინ აპირებს ჯარების გაგზავნას უკრაინაში.**

მაკრონის სიტყვების განმარტება საფრანგეთის სხვა ოფიციალურ პირებს მოუწია. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მაკრონმა სულ სხვა რამ იგულისხმა: ის არ გვთავაზობს ნატოს ჯარების გაგზავნას ფრონტის ხაზზე. საუბარია, უკრაინული ჯარის საწვრთნელად, ინსტრუქტორების გაგზავნაზე, რომლებიც მხოლოდ სამხედრო მეცადინეობასა და ლოჯისტიკაში მიიღებენ მონაწილეობას. მინისტრის თქმით, ასევე, შეიძლება, გაიგზავნოს სამხედრო ექიმები და განაღმვის სპეციალისტები.

ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა დასავლეთის პრესამ. Financial Times-ს ნატოს რამდენიმე მოხელემ ინფორმაცია მიაწოდა, რომ, უკვე, ერთი წელია, უკრაინაში დასავლეთის ქვეყნების სპეც-დანიშნულების რაზმები იმყოფება, და რომ ზოგიერთმა რაზმმა ბახმუტისა და ავდეევკას ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა. რა სპეცდანიშნულების რაზმებია და რომელი ქვეყნიდან, პრესა ამაზე არ საუბრობს. მაკრონის გამოსვლას დასავლეთის ექსპერტების არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ცნობილი გერმანელი ვეტერანი დიპლომატის, ვოლფგანგ-იშინგერის აზრით, მაკრონის სიტყვები დადებითად იმოქმედებს, რადგან მაკრონმა აჩვენა, რომ დასავლეთი უკრაინას არ მიატოვებს. ზოგიერთ საკითხში კი, უფრო შორს წავა. მაკრონის კრიტიკოსების თქმით, მან თავისი გამოსვლით დასავლეთის საზოგადოებაზე იმუშავა.

მაკრონს, საფრანგეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც, მისი სისუსტისა და დაბნეული პოლიტიკისთვის აკრიტიკებენ. ამ გამოსვლით კი, მაკრონმა, ასე ვთქვათ, ანტირუსული ლიდერის მანტია მოისხა. მაგრამ ექსპერტთა აზრით, მან და მისმა ამალამ ბოლომდე ვერ გაითამაშეს ეს პიარ-კამპანია. მათ აღნიშნეს, რომ კამპანია წარმატებული იქნებოდა, თუ მაკრონის აზრს ევროპის სხვა ლიდერებიც გაიზიარებდნენ. ახლა კი, საფრანგეთის პრეზიდენტმა, მისდა უნებურად, რუსეთს აჩვენა, რომ ევროპა უკრაინის საკითხში ერთსულოვანი არ არის. ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ასეთი აზრების ხმამაღლა გაჟღერება წითელი ხაზების გადაკვეთად მიიჩნევა, თუმცა, დასავლეთმა უკრაინის საკითხში, უკვე, ბევრი სხვა წითელი ხაზი გადაკვეთა, მაგალითად, რაკეტების მიწოდება უკრაინისთვის. მალე, დასავლეთი საბრძოლო თვითმფრინავებსაც მიაწოდებს უკრაინას. ომის დასაწყისში კი, ასეთი რამ წითელი ხაზის გადაკვეთად აღიქმებოდა. ინგლისელი ექსპერტების აზრით, ეს ყველაფერი, ეგრეთ წოდებულ, სალამის ტაქტიკას ჰგავს, რომლის მიხედვით, მოწინააღმდეგეები უხეშად არ არღვევენ ხელშეკრულებების პირობებს და არ კვეთენ წითელ ხაზებს. პატარ-პატარა ნაბიჯებით ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას, სანამ, მტერი თავად არ გაამწვავებს მდგომარეობას.




# თურქეთი დასავლეთს პაერივის სჭირდება!

**თურქეთმა ერთ წელიწადს ითრია ფეხი, სანამ, შვედეთის ნატოში გაწევრიანებაზე ოფიციალურ თანხმობას გასცემდა, და აი, ბოლოს და ბოლოს, მოხდა თურქეთის პარლამენტის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიკაცია. აქამდე, ერდოღანი შვედეთს თურქეთის მტრების დახმარებაში ადანაშაულებდა, რომელმაც ქურთებსა და ერდოღანის პოლიტიკურ ოპონენტებს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, თუმცა, ექსპერტები ამბობენ, ეს ერდოღანის მიერ მოგონილი პრობლემა იყო. სინამდვილეში, გაჭიანურების მთავარი მიზეზი თურქეთის მიმართ სამხედრო ტექნიკაზე ამერიკის სანქციები იყო.**

F-35 მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მრავალფუნქციური საბრძოლო თვითმფრინავია. თავდაპირველად, ამ თვითმფრინავის წარმოების პროგრამაში, თურქეთიც მონაწილეობდა, მაგრამ, 2019 წელს, ამერიკამ თურქეთი პროგრამიდან ამოაგდო, რადგან თურქეთის მთავრობამ რუსეთისგან სარაკეტო თავდაცვის სისტემა S-400-ის შესყიდვა გადაწყვიტა. ამერიკის კონგრესმა, თავდაცვის სფეროში, თურქეთს სხვა სანქციებიც დაუწესა: თურქეთისთვის თანამედროვე იარაღის მიყიდვა და F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების პარკის განახლება დაბლოკა.

თურქეთმა სანქციები მტკივნეულად მიიღო. პირადად, ერდოღანიც შესამჩნევად განაწყენდა. სწორედ, ამის შემდეგ ცდილობდა თურქეთის პრეზიდენტი დასავლეთის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას, რათა დასავლეთს უკეთესად ეგრძნო ნატოსთვის თურქეთის მნიშვნელობა. ამავე დროს, თურქეთმა სამხედრო ტექნიკის წარმოების პროგრამები გააქტიურა, თან, საკმაოდ წარმატებულად. უკვე, მთელმა მსოფლიომ იცის ბრენდი, ბაირახტარი, რომელიც უპილოტო სამხედრო აპარატებს უშვებს. ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა მეხუთე თაობის საბრძოლო თვითმფრინავის გამოშვება, რომელიც, მახასიათებლებით, საკმაოდ ჩამორჩება კონკურენტებს. ამიტომ იყო თურქეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამერიკისგან ახალი საბრძოლო თვითმფრინავების შეძენა.

კარგმა ამბავმაც არ დააყოვნა: პრეზიდენტმა ბაიდენმა, თურქეთისთვის, F-16 ტიპის თვითმფრინავების მიყიდვის განკარგულება გასცა. ამერიკის ელჩმა თურქეთში, ჯეფ ფლეიკმა დააკონკრეტა, რომ თურქეთს 40 სულ ახალი და 79 მოდერნიზებული F-16-ი გადაეცემა. F-35-ის გადაცემა კი, ჯერ, ისევ, შეფერხებულია. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილემ, ვიქტორია ნულანდმა განცხადა, F-35-ის საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა თურქეთი რუსეთის სარაკეტო სისტემებზე იტყვის უარს. ნულანდის თქმით, რუსეთის სარაკეტო სისტემების გამოყენებით, თურქეთი F-35 ტიპის თვითმფრინავების გასაიდუმლოებული მახასიათებლების გამჟღავნების საფრთხეს ქმნის. თურქეთსა და ამერიკას შორის დათბობის პროცესი, ალბათ, გაგრძელდება.

მალე თურქეთში ორი დიდი ამერიკული დელეგაცია ჩავა. ერთი, პოლიტიკოსებითა და დიპლომატებით იქნება წარმოდგენილი, მეორე კი, ბიზნესმენებით. ამით, ამერიკა ცდილობს, ენერგეტიკისა და ვაჭრობის დარგში, ამერიკასთან თანამშრომლობის გაღრმავებაში თურქეთის დაინტერესებას. ასევე, დაგეგმილია თურქეთის მთავრობის საპასუხო ვიზიტები ვაშინგტონში. პირადად, თურქეთის პრეზიდენტი თეთრ სახლში ოფიციალურ მოწვევას ელოდება.

ბაიდენის პრეზიდენტობის ხანაში, ერდოღანი არც ერთხელ არ ყოფილა მიწვეული ვაშინგტონში. ამბობენ, ბაიდენი შეგნებულად არ პატიჟებდა თურქეთის ლიდერს, რითიც, ის ცდილობდა, ერდოღანისთვის ეჩვენებინა, თუ რამდენად უკმაყოფილოა მისი საგარეო პოლიტიკით.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, თურქეთი კვლავ დასავლეთის სატკივარი იქნება. მათი აზრით, ერდოღანი აღარ გადაუხვევს ადრე ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკიდან. თურქეთი ნატოს აქტიური წევრი და ამერიკის მოკავშირე იქნება, მაგრამ, რაღაც საკითხებში, ის არ დაემორჩილება დასავლეთს, ანუ, მეტი გეოპოლიტიკური წონის შესაძენად, როგორც მანამდე, ახლაც, გაწონასწორებულ საგარეო პოლიტიკას გაატარებს. თურქეთის ახლანდელი გეოპოლიტიკური პოზიცია მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მუსლიმური სამყაროს ლიდერობისთვის, თურქეთმა, ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს. განსაკუთრებით, ისრაელის მიმართ. სწორედ, ამიტომ ურჩევენ სპეციალისტები ამერიკელ პოლიტიკოსებს ერდოღანის ამბიციებსა და გამოხტომებზე თვალის დახუჭვას.

**თურქეთსა და დასავლეთს ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. უბრალოდ, დროა ისეთი, როცა რეგიონული მნიშვნელობის ქვეყნებსაც გაუჩნდათ გლობალურ საკითხებში მონაწილეობის სურვილი და, ამის გამო, დასავლეთმა თურქეთი არ უნდა მოიმდუროს. თურქეთს რომ ამბიციები აწუხებს, ხელისგულივით ჩანს. ამ რამდენიმე დღის წინ, ერდოღანმა მასმედიას განუცხადა, თურქეთი ყველაფერს აკეთებს, რომ გლობალურ ძალად იქცესო. ერდოღანის მტკიცებით, სულ უფრო მეტად იკვეთება თურქეთის როლი კრიზისების მოგვარებაში. ასე თქვა, ლიბიაშიც ვართ, ყარაბაღშიც, და ყველგან ჩვენი ძმების გვერდით ვდგავართ ამ ჭეშმარიტად სწორ გზაზეო...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# ზელენსკი ბაქიაობას არ იშლის, ქვეყანა კი მიწასთანაა გასწორებული...



**„ჩვენ საბოლოოდ უნდა ვიპოვოთ პოლონეთის საზღვარზე არსებული სიტუაციიდან გამოსავალი, რომელიც დიდი ხანია, გასცდა როგორც ეკონომიკის, ისე მორალის საზღვრებს. უბრალოდ შეუძლებელია იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება, გამოიყენო სისხლიანი ქვეყნის სირთულეები შიდა პოლიტიკურ ბრძოლაში. თუმცა ამასაც გადავლახავთ. დარწმუნებული ვარ, უკრაინას შეუძლია, გაუძლოს, მიაღწიოს თავის მიზნებს და დაამარცხოს რუსული ტერორი. ჩვენ ერთად შეგვიძლია, მივაღწიოთ ამას“,** – განაცხადა ზელენსკიმ.

**შეგახსენებთ,** უკრაინის სახელმწიფო საზღვრის სამსახურის ინფორმაციით, უკრაინისა და პოლონეთის საზღვარზე ექვსივე გამშვები პუნქტი სატვირთო ავტომობილებისთვის ბლოკირებულია. როგორც კიევში აცხადებენ, სატვირთოების მოძრაობა პოლონელ ფერმერებს აქვთ ბლოკირებული. ამის გამო საზღვარზე გაჩერებულია 2,4 ათასი სატვირთო ავტომობილი. აქტივისტები უკრაინიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეუზღუდავი ექსპორტის წინააღმდეგ გამოდიან, ასევე, ითხოვენ ევროკავშირის გარემოსდაცვითი რეგულაციების შემსუბუქებას.

# რუსეთის მანიპულაციები უკრაინის ევროპულ დახმარებებს არყევს

**ომის შესწავლის ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, რუსეთის ხელისუფლება მანიპულირებს ჩინეთისა და თურქეთის მიერ შემოთავაზებული მოლაპარაკებებით, რათა შეარყიოს უკრაინის შემდგომი საერთაშორისო მხარდაჭერა.**

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი და თურქეთი აგრძელებენ საკუთარი მოლაპარაკებების პლატფორმების შექმნას „უკრაინაში სიტუაციის მოსაგვარებლად“, რომელსაც კრემლი საკუთარი საინფორმაციო ოპერაციების გასაძლიერებლად იყენებს, რაც მიზნად ისახავს უკრაინის შემდგომი საერთაშორისო მხარდაჭერის შერყევას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხაილ გალუზინმა და ევრაზიის საკითხებში ჩინეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლი ჰუიმ მოსკოვში შეხვედრისას განიხილეს ჩინეთის სურვილი, ხელი შეუწყოს რუსეთსა და უკრაინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებს. გალუზინმა და ლი ჰუიმ აღნიშნეს, რომ „შეუძლებელია უკრაინაში ბრძოლის დასრულების განხილვა რუსეთის მონაწილეობის გარეშე და რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინების გარეშე“. ამავდროულად, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაკან ფიდანმა ანტალიის დიპლომატიურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „უკრაინაში მიმდინარე ომში მხარეებმა უკვე მიაღწიეს იმ მაქსიმალურ შედეგებს, რომელთა მიღწევაც ომით შეუძლიათ“.



# მიზერული ხელფასის გამო საქართველო ექთნების გარეშე რჩება...



უკანასკნელ წლებში საქართველოდან ევროპაში სამუშაოდ ათეულობით ექთანია წასული

**საქართველოში ექთნების დეფიციტი რომ იყო, ეს ჯერ კიდევ კოვიდპანდემიის პერიოდში გამოჩნდა. თუმცა, ცოტა ხნის წინ, აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა, ექთნების დეფიციტი კონკრეტულ რიცხვებში ასახა.**

**აღმოჩნდა, რომ ქვეყანას იმაზე გაცილებით ნაკლები ექთანი ჰყავს, ვიდრე უნდა ჰყავდეს. აი, მაგალითად, OEXD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) წევრი 38 ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, 100 000 მოსახლეზე უნდა მოდიოდეს 880 ექთანი. საქართველოში კი 2022 წელს ეს თანაფარდობა ასეთი იყო – 100 000 მოსახლეზე მხოლოდ 563 ექთანი.**

აუდიტის სამსახურის დასკვნაში ისიცაა ნათქვამი, რომ სახელმწიფო ვერც არსებული კადრების უწყვეტი განათლების სისტემით უზრუნველყოფასა და ვერც ამ პროფესიაში ახალგაზრდების მოზიდვას ახერხებს. ამ დასკვნის პარალელურად კი ირკვევა, რომ ქართველი ექთნები სამუშაოდ ევროპულ კლინიკებში გადადიან.

ექთნები საქართველოს დაბალი ანაზღაურების, მძიმე სამუშაო გრაფიკის და განვითარების პერსპექტივის არარსებობის გამო ტოვებენ. ამავე მიზეზებით, ახალგაზრდები, რომლებიც საექთნო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობენ, დასაქმების ადგილად უცხოეთს განიხილავენ.



თამუნა სვირავა, ქართველი ექთანი გერმანიაში

უკანასკნელ წლებში, საქართველოდან ევროპაში სამუშაოდ ათეულობით ექთანია წასული. **„რადიო თავისუფლებამ“** გაარკვია, რომ ქართველი ექთნებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანა გერმანიაა. გერმანიის ხელისუფლება ქვეყანაში ექთნების დეფიციტს საქართველოდან, უკრაინიდან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან წაყვანილი ექთნებით ავსებს.

**საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“** სწორედ ის პროფესიული სასწავლებელია, რომელიც მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობდა ერთ-ერთ გერმანულ კომპანიასთან, რომელიც საქართველოში ექთნებს არჩევდა. შერჩევის შემდეგ კი, სამუშაო ვიზითა და ცხოვრების უფლებით, გერმანიაში, სხვადასხვა კლინიკაში სამუშაოდ მიჰყავდა.

**კოლეჯის დირექტორი, ვასილ კიკნაძე** გვეუბნება, რომ თანამშრომლობის შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში, მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული პროგრამით, გერმანიაში სამუშაოდ 10-12 ექთანი გაემგზავრა:

> **„გერმანული მხარე სრულად აფინანსებდა ექთნებისთვის გერმანული ენის სასწავლო კურსს. შემდეგ ისინი აბარებდნენ გამოცდას და იმ შემთხვევაში, თუკი მათი ენის ცოდნის დონე იყო B2, მიჰყავდათ გერმანიაში“.**

ვასილ კიკნაძე გვეუბნება, რომ პროგრამა, რომელიც კოლეჯის ბაზაზე 5-6 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, დაახლოებით ერთი წელია შეჩერდა:

> **„გერმანულ მხარეს ჰქონდა მოლოდინი, რაც შეიძლებოდა მეტი ექთანი წაეყვანა საქართველოდან. თუმცა, ენის შესწავლა მოკლე დროში არ იყო მარტივი და ამიტომ ეს პროექტი ჩვენს ბაზაზე დასრულდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, გერმანულ მხარეს დღესაც ბევრი ექთანი მიჰყავს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში დასასაქმებლად“.**

## 40 ქართველი ექთანი ერთ გერმანულ კლინიკაში

**თამუნა სვირავა 27 წლის იყო, ორ ქართველ ექთანთან ერთად რომ წავიდა გერმანიაში სამუშაოდ. 2016 წელს ის ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდა ერთ-ერთი გერმანული კომპანიის, Medicjobline-ის აგენტს, ანდრეას თაუხმანს, რომელმაც თამუნა და მასთან ერთად კიდევ ორი ქართველი ექთანი ხელშეკრულების საფუძველზე, სამუშაო ვიზითა და ცხოვრების უფლებით წაიყვანა გერმანიაში.**

## როგორ აიყვანეს 40-მდე ქართველი ექთანი გერმანიის კლინიკაში და რატომ ქრებიან მედდები საქართველოში

როგორც კომპანიის დამფუძნებელი, ლედი თაუხმანი ეუბნება **„რადიო თავისუფლებას“,** 2009 წლიდან კომპანიამ გერმანიის სხვადასხვა ქალაქის კლინიკაში რამდენიმე ასეული ქართველი მედდა დაასაქმა:

თამუნა სვირავა უკვე რვა წელია, ქალაქ ჰაგენში, კლინიკა VAMED-ში, ექთნად მუშაობს.

საქართველოდან წასვლის ერთადერთი მიზეზი ის მიზერული ანაზღაურება იყო, რასაც მძიმე სამუშაოს სანაცვლოდ იღებდა: **„36-48 საათიც კი გამიტარებია კლინიკაში გადაბმულად, რომ ცოტა მეტი თანხა გამომსვლოდა“,** – იხსენებს თამუნა, რომლის თვიური შემოსავალი ორ სამსახურში, ჯამში 600 ლარს შეადგენდა.

250 პაციენტზე გათვლილი კერძო კლინიკა, რომელშიც 35 წლის თამუნა მუშაობს, პულმონოლოგიის, ნევროლოგიური და ნეიროქირურგიული რეაბილიტაციისთვისაა განკუთვნილი.

თამუნა სვირავა ამბობს, რომ ამ კლინიკაში მასთან ერთად 40 ქართველი ექთანი მუშაობს: **„ეს ექთნებიც იმ აგენტის გავლით ჩამოვიდნენ, რომელმაც თავის დროზე მე ჩამომიყვანა.**

**ვინც ჯერ არ წამოსულა და საქართველოშია, სულ მეკითხებიან, როგორ უნდა ჩამოვიდნენ გერმანიაში. შორიდან თითქოს ყველაფერი მარტივია, მაგრამ არ ვატყუებ და ვუხსნი, რომ საკმაოდ რთულია აქ ადაპტაცია“.**

რვა წლის წინ, სანამ თამუნა მუშაობას ოფიციალურად შეუდგებოდა, მან გერმანიაში ჯერ ერთწლიანი გადამზადების კურსი გაიარა. ერთი წლისთავზე კი – გასაუბრება გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროში და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო პროფესიით დასაქმება.

მას თვეში რამდენიმე ათასი ევროს შემოსავალი აქვს. თუმცა, ამბობს, რომ ამ ანაზღაურებას თავისი საფასურიც აქვს:

> **„სამუშაო პირობები საკმაოდ რთულია. საქართველოში ინტენსიური განყოფილებების გარდა, ექთნებს არ უწევთ პაციენტის მოვლა. მოვლაში ვგულისხმობ, მაგალითად, პაციენტის დაბანას, ჩაცმას, მოწესრიგებას, თუმცა აქ ეს ყველაფერი ექთნებს გვაბარია.**
>
> **პაციენტის მოვლა აქ ვისწავლე. რა თქმა უნდა, გვყავს დამხმარეებიც, მაგრამ პაციენტის მოვლა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა“.**

როგორც თამუნა მიხსნის, კლინიკაში დასაქმებული ექთნები სხვადასხვა ცვლაში სხვადასხვა ანაზღაურებას იღებენ:

> **„მაგალითად, როცა ღამის მორიგეობა გიწევს, იქ უფრო მაღალია ანაზღაურება, თუკი დასვენების დღეებში გიწევს მუშაობა, იქაც განსხვავებული, მაღალი ტარიფით იღებ ანაზღაურებას. შაბათ-კვირის ანაზღაურებაც ასევე განსხვავებულია“.**

მისივე თქმით, ექთნები მუდმივად გადიან გადამზადების კურსებს.

ექთნების დეფიციტს საქართველოს მსგავსად დღეს ევროპის ქვეყნები და მათ შორის, გერმანიაც განიცდის:

> **„თითქოს ახალგაზრდებმა დაკარგეს ამ პროფესიისადმი ინტერესი. გერმანიაში ექთნების ე.წ. ტრანსფერები, ყიდვა-გაყიდვა დაიწყო. ექთნების დატაცებაზე არიან. ამიტომაც მიჰყავთ საქართველოდან ექთნები. თავად კლინიკები არიან დაინტერესებულნი“.**

თამუნა გერმანიაში ქმართან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. მისი შვილები გერმანიაში დაიბადნენ. მიუხედავად გერმანიაში აწყობილი კარიერისა, ოცნებობს, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, საქართველოში დაბრუნდეს საცხოვრებლად და სამუშაოდ:

## „ვფიქრობდი, იქნებ საკონდიტროში დავსაქმებულიყავი, მაგრამ მერე პაციენტმა ისეთი რამ მითხრა“...

**ია ხელაძე 39 წლისაა. 10 წელია რაც ექთნად მუშაობს. ორიოდ, წლის წინ იასაც შესთავაზეს სამუშაოდ გერმანიაში წასვლა, თუმცა, დედის დატოვების გადაწყვეტილება ვერ მიიღო და სამუშაოდ საქართველოში დარჩა.**

დღეს ია ორ კლინიკაში მუშაობს იმისთვის, რომ ორი არასრულწლოვანი შვილის შენახვა შეძლოს, მაგრამ მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მისი თვიური შემოსავალი ორივე სამსახურში ერთად 1000 ლარს ვერ სცდება. აუდიტის სამსახურის დასკვნის თანახმად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ექთნების 66.5%-ის ხელფასი 1200 ლარზე ნაკლებია.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ექთნებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება 4 ლარითა და 40 თეთრით განისაზღვრა და თვეში, საშუალოდ, 792 ლარი შეადგინა. თუმცა, როგორც ია ხელაძე ამბობს, მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ისევ და ისევ ექთნები და საბოლოო ანგარიშით, პაციენტები დააზარალა:



ია ხელაძე, ექთანი

> **„მოხდა უარესი, კლინიკებმა ექთნების თანაშემწეების გაშვება დაიწყეს. პირადად მე მომიხსნეს თანაშემწე და მისი მოხსნის ხარჯზე, სანიტარს დაუმატეს თეთრები. კადრები შეამცირეს და ამით უფრო მეტად გაწირეს პაციენტები“.**

მისი თქმით, არის განყოფილებები, სადაც თითო მორიგეობაზე თითო ექთანი ხშირად 12-15 პაციენტს აქცევს ყურადღებას:

> **„ერთადერთი, რა დროსაც ვნანობ ხოლმე, რომ ექთანი ვარ, ეს მაშინ ხდება, როდესაც ვერ ვახერხებ პაციენტს ისე მოვუარო, როგორც საჭიროა, როცა მყავს მორიგეობაზე ერთდროულად 7-8 რთული პაციენტი. და ეს ხდება იმიტომ, რომ კლინიკებში კადრი არაა.**
>
> **საშინელი შეგრძნებაა, როდესაც შედიხარ პალატაში და ნაწყენი პაციენტი გეუბნება, გეძახდი და არ ჩანდიო. ინტენსიურ განყოფილებაში რომ ექთნის თანაშემწეს მოხსნი, ეს არის კატასტროფა“.**

როგორც ია ამბობს, მორიგეობა ისე არ გადის, რომ ექთნებს შორის არ წამოიჭრას დიალოგი ან პროფესიის დატოვების, ან სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასვლაზე:

> **„შეუძლებელია ამ ხელფასით, ამ დატვირთვით, ამ შემცირებული კადრებით მუშაობის გაგრძელება.**
>
> **ცოტა ხნის წინ, რამდენიმე ექთანი ერთ-ერთ მაღაზიათა ქსელში გადავიდა სამუშაოდ, რამდენიმე საზღვარგარეთ წავიდა.**
>
> **ზუსტად სამი დღის წინ, ბოლო მორიგეობაზე, მეც გავიფიქრე, ერთ-ერთ საკონდიტროში ხომ არ გადავიდე სამუშაოდ-მეთქი, ცხობაც მეხერხება... მაგრამ თითქოს დამთხვევა იყოო, პაციენტმა ისეთი რამ მითხრა, მივხვდი, რომ ვერსადაც ვერ წავალ. მითხრა, დღეებს ვითვლი, შენი მორიგეობა რომ მალე მოვიდეს ხოლმეო. ამაზე დიდი საფასური ჩემთვის არაფერია“**

მისივე თქმით, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ამ სფეროში უწყვეტი განათლების პრობლემაც:

> **„თუ ის პოლიტიკა არ შეიცვალა, რაც ახლაა – დაუფასებლობა, დაბალი ხელფასი, მძიმე სამუშაო პირობები, ეს პროფესია მალე გაქრება, აღარავინ შეისწავლის. პირადად მე ჩემს შვილს ნამდვილად არ ვურჩევ, რომ გახდეს ექთანი“.**

## ექთანი – პროფესია, რომელიც „ბერდება“

**აუდიტის სამსახურის დასკვნის მონაცემებით, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში აქტიური ექთნების რაოდენობამ შეადგინა 20,756, მათგან 37.5% 50 წელს გადაცილებულია.**

პროფესიული სასწავლებლის, „პანაცეას“ დირექტორი ამბობს, რომ კოლეჯი **წელიწადში დაახლოებით 100-120 ექთანს უშვებს**. ბოლო ოთხი წელია, საექთნო მიმართულებით სწავლას სახელმწიფო აფინანსებს, ანუ სწავლა სრულიად უფასოა. საექთნო სპეციალობის შესასწავლად ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს: **„გვყავს 40-45 წლის სტუდენტებიც. იშვიათად, მაგრამ გვყოლია 60 წლის სტუდენტებიც. მთავარია, რომ საშუალო განათლება სრულად ჰქონდეს ადამიანს მიღებული.**

სწავლა სამ წელს გრძელდება. წელიწადნახევრის განმავლობაში სტუდენტები ეუფლებიან თეორიულ ცოდნას, მომდევნო წელიწადნახევარი კი პრაქტიკული კომპონენტისგან შედგება. პრაქტიკებზე წასული სტუდენტები, თითქმის ყველანი საქმდებიან, თუმცა, ჩემი და ყველას გულისტკივილი ეს დაბალი ანაზღაურებაა“.

**ნონა ზანდარაშვილი** 53 წლისაა. 30 წელია ექთანია და კარგად იცის, რა როლი აკისრია ექთანს, ერთი მხრივ, ექიმის მუშაობის და, მეორე მხრივ, პაციენტის გამოჯანმრთელების პროცესში.

ბოლო პერიოდია, გულისწყვეტით ადევნებს თვალს, როგორ მიდიან ქართველი ექთნები სამუშაოდ საზღვარგარეთ: **„ერთი კვირის წინაც ისეთმა (კარგმა) ექთანმა დადო ფოტო გერმანიის ერთ-ერთი კლინიკიდან... მეორე კოლეგამ დაწერა მისი ფოტოს ქვეშ – „საქართველო, რა ექთანი დაკარგეო“. აბსოლუტურად ვეთანხმები, ისეთი კადრები მიდიან. ჩვილ ბავშვთა რეანიმაციის უძლიერესი ექთანი იყო“.**

ნონა ზანდარაშვილს დღეს უფროსი ექთნის სტატუსი აქვს. ერთ სამსახურს მეორეც შეუთავსა, თუმცა მისი თვიური შემოსავალი 1200 ლარსაც ვერ აღწევს:

> **„მაგალითად, ჩემი, უფროსი ექთნის ხელფასი შეადგენს 800 ლარს. დღის მეორე ნახევარში, საღამოს ექთნის ვაკანსია შევითავსე და იქ 350 ლარს ვიღებ. ჯამში დაახლოებით 1100 ლარი გამომდის. ამიტომაც ვრჩებით ამ პროფესიაში ნელ-ნელა 50 წელს ზევით ადამიანები. პროფესიით ახალგაზრდა ექთანი იშვიათადღა მოდის. ექთნის ადგილს სტაციონარებში ავსებენ სამედიცინოს სტუდენტები, მომავალი ექიმები, რომლებიც ამ ვაკანსიებზე მხოლოდ დროებით მოდიან“.**

აუდიტის სამსახურის დასკვნის თანახმად, ექთნების დეფიციტის მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საქართველოს რეგიონების კლინიკებში, სადაც იმაზე ორჯერ ნაკლები ექთანი ჰყავთ, ვიდრე თბილისის სამედიცინო დაწესებულებებს. ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ერთ ექიმზე საშუალოდ 2-3 ექთანი მოდის. საქართველოში ექიმებისა და ექთნების რაოდენობა თითქმის თანაბარია: **2021 წელს ქვეყანას 100,000 მოსახლეზე 606 ექიმი და 595 პროფესიულად აქტიური ექთანი ჰყავდა.**

**ნინო თარხნიშვილი,**

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი



# ქართული ალპინიზმის მემატიანე, მეცნიერი, პუბლიცისტი, მამულიშვილი

**ჭეშმარიტად ნეტარ არიან ისინი, ვისაც ებოძა ნიჭი, შექმნას ისეთი რამ, რაც დაწერად ღირს ან დაწეროს ის, რაც წასაკითხად ღირდესო, ამბობს ანტიკური პერიოდის მოაზროვნე პლინიუს მცირე.**

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვების ერთ-ერთი ადრესატი დღეს ალპინისტთა დიდი ოჯახის წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დავით აღმაშენებლის და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ტელე-რადიო პროგრამების ავტორი და წამყვანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქართული კულტურის რაინდი, მწერალი და პუბლიცისტი **ივანე ჯაფარიძეა,** სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული ღირსეული ქართველი მამულიშვილი!

ივანე ჯაფარიძე, რომელსაც ახლახანს 80 წელი შეუსრულდა, დაიბადა 1944 წლის 22 თებერვალს ჭიათურაში, ნოე ჯაფარიძისა და მარიამ გამყრელიძის ფუძძლიერ ოჯახში. ჭიათურის პირველ საშუალო სკოლაში სწავლისა და თბილისის იან ამოს კომენსკის სახელობის სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც იმთავითვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, როგორც ბეჯითმა და მიზანდასახულმა სტუდენტმა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, იგი მუშაობას იწყებს აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობს გეოლოგიურ ექსპედიციებში, მეცნიერ-თანამშრომლის რანგში.

1972-1974 წლებში ახალგაზრდა მეცნიერმა გორის და კასპის რაიონების ტერიტორიაზე აღმოაჩინა 20-25 მილიონი წლის მცენარეული ნამარხი ნაშთები, რომელთა შესწავლის საფუძველზე დაიცვა დისერტაცია სტრატოგრაფია-პალეონტოლოგიაში.

1983-1990 წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხელშეწყობით, ბატონმა ივანემ კომპლექსურად გამოიკვლია და შეიმუშავა რეკომენდაციები უფლისციხის უნიკალური არქიტექტურული ძეგლის ცვეთის შეჩერებისა და დავით გარეჯის ნაქალაქარის მეტალურგიული წარმოების ავტოქტონოპის დადგენის მიზნით. პარალელურად, იგი აქტიურად მონაწილეობდა როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ექსპედიციებში, უცხოელ კოლეგებთან ერთად.

ივანე ჯაფარიძე გახლავთ სამ ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიული და გეოლოგიური საზოგადოების წევრი, წლების განმავლობაში იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სწავლული მდივანი, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სახალხო უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ბატონი ვანოს ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის გამრავალფეროვნებისა და ახალ სიმაღლეზე აყვანის საქმეში, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მედიის მიმართულებით. მისი უშუალო ინიციატივით შეიქმნა არაერთი შემეცნებითი ხასიათის გადაცემა რადიო-ტელევიზიაში, კერძოდ: „ირაო“, „ამერ-იმერი“, „საქართველოს სოფლები“, „დილის ირაო“, „ამ შაბათ-კვირას“, „თბილისის ისტორია“, „ხაზის რადიო“, „ჩვენი საგანძური“, „საქართველო“, „ვიმოგზაუროთ საქართველოში“, „ნაბიჯ-ნაბიჯ“...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მოუსვენარ ადამიანს მთელი საქართველო მართლაც ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს შემოვლილი და ყველა კუთხე-კუნჭულში შეუხედავს საკუთარი თვალით. შედარებისთვის, შეგვიძლია, გავიხსენოთ ბუნების დიდი ქომაგი ნიკო კეცხოველი და ბატონი ვანო ამ ბუმბერაზი ადამიანის საშვილიშვილო საქმის ღირსეულ გამგრძელებლად მივიჩნიოთ.

ცალკე საუბრის თემაა ბატონი ივანეს სამწერლო შემოქმედება და ის ფართო დიაპაზონი, რომელიც ამ შემოქმედებაში რელიეფურად გამოიკვეთა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს 2010 წელს გამოცემული წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“, რაც ქართული ალპინიზმის აპოლოგიას წარმოადგენს. თავს უფლებას მივცემ, დავიმოწმო აკადემიკოსი როინ მეტრეველი: „ვერ ვმალავ ჩემს დიდ კმაყოფილებას. ძალზედ საინტერესო და საჭირო წიგნია. თანაც დაწერილია საღი, მწყაზარი ქართულით და ამას განსაკუთრებით მივესალმები...“

სიმართლე გითხრათ, შესაბამისი საავტორო უფლება რომ მქონდეს, ამ საოცარი ემოციებით გაჯერებული წიგნის კითხვისას მიღებული შთაბეჭდილების გამოსახატავად გამოვიყენებდი მურმან ლებანიძის სიტყვებს ლექსიდან, რომელიც ჭაბუა ამირეჯიბის გახმაურებული რომანის თავფურცელზე დაწერა პოეტმა:

**„ლენცოფა აგიცელია,**
**მორჩი კეთილი გიცვნია,**
**რა წიგნი დაგიწერია,**
**რა სიკვდილები გიგრძვნია!“**

ვინც ივანე ჯაფარიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას იცნობს, ისიც უთუოდ ეცოდინება, რომ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე ამ კაცს, საქმის თათარიახნად კეთება არ ჩვევია და მდარე ხარისხის ნაცოდვილარით არასდროს წარსდგება მკითხველის წინაშე!

ბატონი ვანოს გულთბილი დამოკიდებულება მშობლიური მხარის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიე, საოჯახო არქივში მომეძია გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ 2018 წლის 20 სექტემბრის, 2020 წლის 16 ივნისის და 22 ოქტომბრის, 2021 წლის 5 აგვისტოს ნომრები, სადაც იგი გულთბილად ესაუბრება მკითხველ საზოგადოებას ჯუმბერ ჯიშკარიანთან, ოტია იოსელიანთან და ბენია თხილავასთან ურთიერთობის მნიშვნელოვან ასპექტებზე. მისასალმებელია, რომ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ბატონი ივანეს ქალიშვილის, ფოლკლორისტისა და ფილოლოგიის დოქტორის სოფიო ჯაფარიძის ნარკვევი ოტია იოსელიანის შესახებ, რაც წყალტუბოსა და წყალტუბოელების მიმართ პატივისცემის გამოხატულებად მივიჩნიეთ. სწორედ ეს პუბლიკაცია გახლდათ ბოლო, რომელიც პირდაპირ სტამბიდან მოუტანა ბატონ ოტიას გაზეთის რედაქტორმა მურთაზ კანკაძემ. სვენებ-სვენებით წაიკითხა მომაკვდავმა მწერალმა ნარკვევი და ცრემლმორეულმა ჩაილაპარაკა, რა კარგად გაცნობია ჩემს მწარე ბავშვობასო.

გულწრფელად მეამაყება, რომ ჩემი წიგნების თაროზე თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ლევან გოთუასადმი მიძღვნილ მის წიგნს, გულისამაჩუყებელი ავტოგრაფით, რაც სტიმულს მაძლევს პუბლიცისტურ საქმიანობაში.

ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას გისურვებთ, ბატონო ვანო. მართალია, რვა ათეული წელი არ გახლავთ ხელწამოსაკრავი ასაკი, მაგრამ სიბერეს თქვენთან რა ხელი აქვს. როგორც ერთმა მადლიერმა ადამიანმა გითხრათ სრულიად სამართლიანად, კიდევ რამდენიმე მწვერვალი გაქვთ დასაპყრობი!

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“**
**საზოგადოებასთან**
**ურთიერთობის კოორდინატორი**

---

**ლეგიონერი**

## იტალიური მედიის შეფასება — ხვიჩა კვარაცხელიაზე:

# „ის მეტოქეთათვის მუდმივი საფრთხეა“



**სერია A-ს 27-ე ტურში „ნაპოლიმ“ „იუვენტუსი“ 2:1 დაამარცხა, ერთი გოლი კი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა. იტალიურმა მედიამ ქართველი ფეხბურთელის თამაში ასე შეაფასა:**

EUROSPORT 7 ქულა: **„მასზე ჯარიმდებოდნენ, ყოველთვის კარს უმიზნებდა და თამაშს ცვლიდა. პირადი შეტევით დარტყმა მოახერხა, მაგრამ შჩესნიმ ადვილად აჯობა. შემდეგ ანგარიში გახსნა ჰაერიდან ერთი შეხებით. მეორე ტაიმში ნაკლებად შესამჩნევი იყო, მაგრამ ვეას გაკონტროლებითაც იყო დაკავებული“.**

SPORTMEDIASET 7 ქულა: **„პირველივე წუთებიდან დააგროვა ჯარიმები და ყვითელი ბარათები მეტოქეთათვის. უმიზნებს მეტოქეს და როგორც ყოველთვის ქმნის მომენტებს, ამჯერადაც მოახერხა გოლის გატანა, ზედიზედ მეორედ. როგორ? ჰაერიდან ერთი შეხებით აჯობა შჩესნის რიკოშეტის წყალობითაც“.**

IL GIORNALE 6.5 ქულა: **„ბრწყინვალე გოლი გაიტანა მარჯვენა ფეხით, მიწაზე დაუშვებლად და რიკოშეტით, რამაც შჩესნის გამოსავალი არ დაუტოვა. შარშანდელი სეზონივით ბაგირზე ვერ დადის, მაგრამ დღეს მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო“.**

CALCIOMERCATO 7.5 ქულა: **„როგორც ყოველთვის არაპროგნოზირებადია და მეტოქეთათვის ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენს. ორი ყვითელი ბარათი რამდენიმე წუთში გამოიმუშავა, შემდეგ ლამაზი გოლით ანგარიში გახსნა“.**

TUTTOMERCATOWEB 7 ქულა: **„როგორც ყოველთვის მასზე ჯარიმდებიან და 2-3 მეტოქეც გააფრთხილებინა. სცენაზე ავიდა ტაიმის ბოლოს, როდესაც ჰაერიდან გოლი გაიტანა, რომლის აღნიშვნა თითქოს ნიშნავდა: „მე მინდა აქ დარჩენა“.**

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 35 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი, 5-ჯერ საგოლე პასი გააკეთა და 2-ჯერ პენალტი მოიპოვა. კვარაცხელია პირველი ფეხბურთელია, რომელმაც „იუვენტუსს“ საწყის ორ საშინაო მატჩში გოლი გაუტანა მას შემდეგ, რაც გუნდებს გამარჯვებაზე 3 ქულა ენიჭებათ (1994-1995 წლების სეზონიდან). 27 ტურის შემდეგ ნაპოლი 43 ქულით მე-7 ადგილზეა და პარასკევს ტორინოს უმასპინძლებს, ჩემპიონთა ლიგაში კი 12 მარტს ბარსელონას ეწვევა, რომელსაც დე იონგი და პედრი დაემტვრა.

---

**მატჩის შემდეგ**

# რიჩარდ კოკერილი: „ვიცოდით, რომ რუმინელები მეორე ტაიმში დაიღლებოდნენ და ეს გამოვიყენეთ“



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩარდ კოკერილმა** რუმინეთთან 43:5 მოგებული თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა. 53 წლის სპეციალისტმა აღნიშნა, რომ პირველ ტაიმში ხარვეზები იყო და ამის გამოსწორებას გუნდთან ერთად ეცდება.

**„ჩვენი მხრიდან კარგი პერფორმანსი იყო, თუმცა გაუმჯობესება კიდევ შეგვიძლია. 38-ქულიანი სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ ხარისხი კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ.**

**რაც შეეხება მეტოქეს ფინალისთვის, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. იმათ ვეთამაშებით, ვინც პორტუგალიისა და ესპანეთის წყვილში გაიმარჯვებს.**

**ტაიმებს შორის განსხვავება იყო და როგორც გუნდი ამის გამოსწორებაზე ვმუშაობთ. პირველ 20 წუთში თამაში არ გამოგვდიოდა, ეს გამაღიზიანებელია. როგორც გუნდმა, ფორმიდან, გამოცდილებიდან და სათამაშო კლასიდან გამომდინარე მეორე ტაიმში ხარვეზები გამოვასწორეთ და ეს შედეგზეც აისახა. ვიცოდით, რომ რუმინელები მეორე ტაიმში დაიღლებოდნენ და ეს ყველაფერი გამოვიყენეთ.**

**ზაფხულში ვეთამაშებით იაპონიას, ავსტრალიას, დიდ გუნდებს, რომელთანაც თუ მოცემულ შესაძლებლობებს არ გამოვიყენებთ, ეს თამაშის წაგებად დაგვიჯდება. რაც შეეხება პორტუგალიას, რუმინეთისგან განსხვავებით სწრაფი, შემტევი გუნდია და მათთან სხვანაირი თამაში გვმართებს.**

**საქართველოს ნაკრები საკმაოდ დაბალანსებულია. მოთამაშეები ქმნიან ისეთ შესაძლებლობებს, რომელიც შედეგში აისახება. ამ გუნდს აქვს კიდევ ზრდის პოტენციალი. ჩემი როგორც მთავარი მწვრთნელის ფუნქციაც ის არის, რომ მათ გაუმჯობესებაში დავეხმარო“,** – განაცხადა კოკერილმა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელმა ეროვნულ გუნდთან ერთად პირველი ტიტული – ანთიმოზ ივერიელის თასი მოიგო. საქართველოს აღნიშნული ჯილდო ისტორიაში 18-ჯერ, ხოლო რუმინელებს 6-ჯერ აქვთ მოგებული.

ქართველი მორაგბეები რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, რომელიც 17 მარტს საფრანგეთში გაიმართება. ჩვენი ქვეყნის გუნდის მეტოქე პორტუგალიის ნაკრები იქნება.

---

**ოკეანის გაღმა**

# ლებრონის მეფური 40000 ქულა

**NBA-ში ლოს ანჯელეს „ლეიკერსი“ საკუთარ მოედანზე „დენვერ ნაგეთსთან“ 114:124 დამარცხდა, ლებრონ ჯეიმსმა კი ისტორია კიდევ ერთხელ დაწერა.**

ლეგენდარულმა კალათბურთელმა NBA-ში 40 000-ქულიანი ზღვარი გადალახა, რითაც ის ისტორიაში პირველია. NBA-ში მსგავსი შედეგი აქამდე არავის ჰქონია.

„მეფემ“ „დენვერთან“ 26 ქულა, 4 მოხსნა და 9 პასი მიითვალა, მაგრამ საკუთარი გუნდი რეკორდის მიუხედავად მარცხისგან ვერ იხსნა. სტუმართა რიგებში ცხადია ნიკოლა იოკიჩმა გაიბრწყინა, რომელმაც 35 ქულა, 10 მოხსნა და 7 პასი დააგროვა.

ლებრონი NBA-ს ისტორიაში საუკეთესო მექულე ჯერ კიდევ შარშან გახდა, როდესაც ქარიმ აბდულ-ჯაბარს გადაასწრო, ახლა კი, 40 000 ქულასაც გადასცდა.

„ლეიკერსი“ 33 მოგებით და 29 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მხოლოდ მეათე ადგილზეა.




მოამზადა **გიორგი შოთაძემ**

სულთათანა

# ჯემალ გახოკიძე



## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს, პროფესორ ჯემალ გახოკიძეს ემშვიდობება

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, სამეცნიერო-აკადემიური წრეები, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 73 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) ყოფილი სპიკერი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი და საუნივერსიტეტო საზოგადოება გულისტკივილით ემშვიდობება ძვირფას კოლეგას, პროფესორ ჯემალ გახოკიძეს და თანადგომას უცხადებს ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებსა და მის აღზრდილებს.**

* * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა რიგებს, ქართველ იურისტთა დიდ ოჯახს გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, ადამიანი, რომლის ღვაწლი სამშობლოსა და ერის წინაშე განუზომელია.

დიდია ჯემალ გახოკიძის ღვაწლი კონფლიქტების მოგვარებისა და პოსტკონფლიქტური სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საერთაშორისო გამოცდილების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივებისა და შერიგების პოლიტიკის მიმართულებით.

ბატონი ჯემალის ხელმძღვანელობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის" მიერ პროექტის – „საქართველოს აფხაზეთი და ჩინეთის ჰონგ-კონგი (ძიებანი კონფლიქტის დარეგულირებისათვის) – ფარგლებში მომზადდა ნაშრომი: „ჰონგ-კონგი, ჩინეთი – 1997", რომელმაც განსაკუთრებული და ღრმა წიაღსვლებით, უმალ მიიპყრო მკვლევრებისა და დარგის სპეციალისტთა ყურადღება. ქართულ რეალობაში ეს პირველი ფუნდამენტური ნაშრომია – მანამდე ჩინეთის მიერ ჰონგ-კონგის მშვიდობიანი გზით მიერთების შესახებ საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა. მეტიც, ქართულ ენაზე არ თარგმნილა ის ფუნდამენტური დოკუმენტები, რომლებსაც აღნიშნული მიერთების აქტი დაეფუძნა.

ბატონ ჯემალ გახოკიძეს ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკუთარი ინოვაციური ხედვა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი წერტილი, უპირველეს ყოვლისა, ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს შორის მშვიდობიანი, გულწრფელი დიალოგი და დაკარგული ნდობის დაბრუნებაა. ამ მიმართულებით ჯემალ გახოკიძემ, სტუდენტებთან და კოლეგებთან ერთად, არაერთი კვლევა ჩაატარა, რამაც მის ნაშრომებში ჰპოვა ასახვა.

პროფესორ ჯემალ გახოკიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია 30 სამეცნიერო სტატიაში, ხუთ სახელმძღვანელოსა და ერთ დამხმარე სახელმძღვანელოში, 50-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, 100-მდე საგაზეთო სტატიასა და 2 მონოგრაფიაში; არის კრიმინალისტიკის კურსის თანაავტორი.

პროფესორ ჯემალ გახოკიძის სახელმძღვანელოებზე მრავალი თაობა აღიზარდა. მისი მონოგრაფიები დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია. მისი მოწაფეები დღეს აღიარებული იურისტები და სპეციალისტები არიან.

ჯემალ გახოკიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1972 წელს. 1973-1997 წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში იკავებდა გამომძიებლის, დეპარტამენტის თავმჯდომარისა და მინისტრის მოადგილის თანამდებობებს; 1997-1998 წლებში იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი; 1999-2004 წლებში კი – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

2004-2005 წლებში, ჯემალ გახოკიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო; 1989-2004 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; 2004-2009 წლებში – სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, კითხულობდა ლექციებს სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესსა და კრიმინოლოგიაში; 2009 წლიდან იყო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

1997 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. იყო საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემების – „თემიდა", „ბიზნესინჟინერინგი" და ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალი – სარედაქციო კოლეგიის წევრი.

2010-დან 2024 წლის თებერვლამდე, პროფესორი ჯემალ გახოკიძე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხისა და ღირსების ორდენით, ასევე, სხვა სამთავრობო ჯილდოებით.

პროფესორი ჯემალ გახოკიძე სხვადასხვა სამიტისა და 30-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილე იყო. გავლილი აქვს სპეციალური კურსები და ტრენინგები ტერორიზმის, ნარკოტიზმის, კორუფციის და სამართალდაცვის სისტემის რეფორმების მიმართულებით: ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროში (ვაშინგტონი), უნგრეთში – გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფისში (ბუდაპეშტი), საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა (პარიზი) და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (გარმიში).

სამძიმარსა და თანადგომას ვუცხადებთ ბატონი ჯემალ გახოკიძის ოჯახს.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

კრიმინალი

## შემთხვევით გადარჩენილი ქალი, რომელიც სასიკვდილოდ ყოფილმა ქმარმა გაიმეტა...

**41 წლის შორენა ტალახაძეს, ცივი იარაღი ყოფილმა მეუღლემ რამდენჯერმე დაარტყა, ის სისხლისგან იცლებოდა, თუმცა მაინც შეძლო 112-ში დარეკვა და დახმარების თხოვნა. ქალი გადარჩა, ახლა კი დამნაშავის სრული სისასტიკით დასჯას ითხოვს.**

კაცი, რომელიც ყოფილ პარტნიორს ბრალდებულის სკამიდან სიყვარულს უხსნის, მანამდე ქალს სასიკვდილოდ იმეტებდა. ზარი 112-ში რამდენიმე თვის წინ, რუსთავიდან შევიდა. 5 ჭრილობით, მათ შორის გულ-მკერდში მიყენებული დაზიანებებით, 41 წლის ქალი კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმებს იმედი არ ჰქონდათ, თუმცა შორენა ტალახაძის გადარჩენა შეძლეს.



ლაშა შაუმიანი მსხვერპლ ქალთან 5 წელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. ეჭვიანობის მოტივით, ქალს ფიზიკურად ხშირად უსწორდებოდა. დაშორების შემდეგ, მოძალადე კაცი ყოფილ ცოლთან სახლში მივიდა. ამ დროს ბინაში ქალის გარდა, მისი შვილები და მეგობრები იყვნენ. საქმის მასალებით, რომელიც „კურიერი პიესმა" მოიპოვა, ირკვევა, რომ შაუმიანი ბინიდან გავიდა, სტუმრების სახლიდან გასვლას დაელოდა და როდესაც ქალი მარტო დარჩა, აივნიდან მის ბინაში შესვლა მოახერხა. დანაშაული მოძალადეს დაგეგმილი ჰქონდა, რადგან ყოფილი ცოლის სახლში შეიარაღებული შეიპარა. შორენა ტალახაძეს მოძალადე კაცმა ცივი იარაღით 5 ჭრილობა მიაყენა. სისხლის კვალი დანაშაულის ადგილს ახლაც ეტყობა.

ქალი გადარჩა, რამდენიმე დღეში კი პოლიციამ 42 წლის ლაშა შაუმიანი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავა. ლაშა შაუმიანს გენდერული ნიშნით ყოფილი ცოლის განზრახ მკვლელობის მცდელობის გარდა, ძალადობასა და არასრულწლოვანი გერისთვის ხელის მოტეხვასაც ედავებიან. ...ბრალდებულს იმედი აქვს, რომ უმკაცრეს სასჯელს გადაურჩება. ლაშა შაუმიანის ადვოკატს ამ მოლოდინს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უქმნის. გარდა ექსპერტიზის დასკვნისა, საქმეში არაერთი მტკიცებულება დევს, რაც ბრალდებულის მხრიდან მკვლელობის განზრახვას ადასტურებს – ეს პროკურორის სიტყვებია, რომელიც სასამართლო განხილვების შემდეგ, გამამტყუნებელ განაჩენს ელოდება. მაქსიმალურ სასჯელს ითხოვს სიკვდილს გადარჩენილი ქალიც.

## ყაზბეგში არადეკლარირებული თანხის შემოტანის ფაქტები აღკვეთეს




საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი" მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხის მალულად შემოტანის სამი ფაქტი აღკვეთეს.

**„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების დეტალური დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 80 000 აშშ დოლარი და 8 672 000 რუსული რუბლი გამოავლინეს.**

**არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 464 595,2 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით, ჯამში, 46 518 ლარით (თანხის 10%-ის ოდენობა) დაჯარიმდნენ",** – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

## ორი ადამიანის მკვლელს – 18 წლით პატიმრობა...




თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი პირის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

**„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 4 ივლისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ცენტრში ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე არარეგისტრირებული პისტოლეტიდან გასროლით ორ პირს ჭრილობები მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ორივე დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.**

**გამოძიების ეტაპზე ბრალდებულს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა, რის შედეგადაც დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდულად შერაცხადობა დაუდგინდა. თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა",** – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

## მრავალდღიანი ძებნის შემდეგ 13 წლის გოგო, რომელიც სავარაუდოდ გათხოვდა, იპოვეს

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოდან გატაცებული 13 წლის გოგო იპოვეს. ჯერჯერობით უცნობია ამ დღეების განმავლობაში სად იმყოფებოდა ის.**

ამ დროისათვის ორივე მათგანი 13 წლის გოგო და 16 წლის ბიჭი საგარეჯოს პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე იმყოფება. ცნობისთვის, გოგოს ოჯახის მტკიცებით არასრულწლოვანი 13 წლის გოგო თანასოფლელმა ბიჭმა ოჯახის შექმნის მიზნით გაიტაცა. მედიაში შემთხვევის შესახებ ინფორმაცია 1 მარტს გავრცელდა.

# ევროპის წამყვანი მედიასაშუალებები და საქართველო



**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პოპულარული საერთაშორისო გამოცემების: Le Figaro-ს, The Telegraph-ის, GQ-ის, Die Presse-ის, Snow-ის, Backcountry Magazine-ს და Downdays-ის წარმომადგენლებს მასპინძლობს.**

პრესტურის ფარგლებში, საქართველოს საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ავსტრიიდან წამყვანი ჟურნალისტები ეწვივნენ. მედიის წარმომადგენლებმა თბილისი, ქუთაისი, პრომეთეს მღვიმე და მესტია მოინახულეს. ჟურნალისტებმა მესტიაში ფრირაიდის მსოფლიო ტური გააშუქეს.

**„საქართველოში პირველად ვარ, გაოცებული ვარ ამ ხედებით, რომელიც ჩვენს უკან იშლება. ხალხი ძალიან მეგობრულია, საუკეთესო ხარისხის თოვლია, სწრაფი საზაგიროა, სვანეთში საოცარი გამოცდილება მივიღე. მე ვამზადებ სტატიას, რომლის სათაურიც იქნება „ადვილი თავგადასავალი“ რადგან აქ ყველაფერი ხელმისაწვდომია, პატარა მაღაზიებშიც კი, როდესაც რაიმე დაგჭირდება ყველა მზად არის დაგეხმაროს. საქართველო არის მომავალი“,** – აცხადებს Le Figaro-ს ჟურნალისტი მეთიუ როსი.

**„ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა ფრირაიდერების ჯგუფს გავყოლოდით და ძალიან მაგარი შთაბეჭდილებები მივიღეთ. სვანეთში ძალიან მეგობრული ხალხია, სამთო კურორტი ვითარდება, ნამდვილად საოცარი სათხილამურო პირობებია და ვფიქრობ ეს არის ტურისტული მიმართულება, რომელიც ძალიან პოპულარული გახდება“,** – ამბობს Die Presse -ის წარმომადგენელი ჯოზეფ იბნერი.

**„საქართველოში მეორედ ვარ. ერთი მხრივ ექსტრემალური შეჯიბრი და მთები გადავიღე, რისთვის ვმოგზაურობ მთელ მსოფლიოში და ფოტოებს ვიღებ, მეორე მხრივ ძალიან საინტერესო იყო კულტურული ნაწილი. მე ვმუშაობ შვეიცარიულ კომპანიაში FWT – Freeride World Tour, რომელიც ორგანიზებას უწევს მსოფლიო ფრირაიდის ტურებს. ერთ-ერთი ეტაპი სწორედ სვანეთში გაიმართა, ფრირაიდის შემდეგი ეტაპები ავსტრიასა და შვეიცარიაში მოეწყობა“,** – ამბობს დომ დაპერი, ტურის მონაწილე ფოტოგრაფი. ევროპული მედიის წარმომადგენლები საქართველოს ტურისტული პროდუქტების, სათავგადასავლო ტურიზმის, ზამთრის კურორტებისა და კულტურის შესახებ სტატიებს მოამზადებენ.

# ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია დაიწყო

**2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია დაიწყო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, რეგისტრაცია გუშინ დაიწყო და 4 აპრილის 18:00 საათამდე გაგრძელდება.**

**რეგისტრაცია მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონულად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე online.naec.ge.**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი წელსაც რამდენიმე ეტაპად გაიმართება:**

**პირველ ეტაპზე აბიტურიენტი ვალდებულია, შეავსოს პირადი მონაცემები, აირჩიოს საგამოცდო ქალაქი, ჩასაბარებელი საგნები და საჭიროების შემთხვევაში, მონიშნოს სპეციალური პირობა; საგნის შეცვლა ან დამატება, ასევე გამოცდის ენის შეცვლა აბიტურიენტებს 15 აპრილის 18:00 საათამდე შეეძლებათ;**

**საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა გამოსაცდელებს აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის 18:00 საათამდე ექნებათ.**

**უფრო ვრცლად იხილეთ ცენტრის ვებგვერდზე.**

# ტრამპი არჩევნებში გასამარჯვებლად ხელოვნურ ინტელექტს იყენებს

**აშშ პრეზიდენტობის კანდიდატის, დონალდ ტრამპის და მისი შავკანიანი მხარდამჭერების ფოტო ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) შექმნა,** – ამის შესახებ BBC იუწყება.

ფოტო, სადაც ტრამპი მის შავკანიან მხარდამჭერებთან არის გადაღებული, დონალდ ტრამპის გუნდმა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შექმნა.




ფოტოს მიზანია აფროამერიკელების მობილიზება ტრამპისთვის ხმის მისაცემად. 2016 წელს სწორედ ფერადკანიანი მოსახლეობის დახმარებით მოიგო დონალდ ტრამპმა საპრეზიდენტო არჩევნები. Black Voters Matter-ის ჯგუფის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ტრამპი საპრეზიდენტო არჩევნებამდე სტრატეგიული ნარატივის შექმნას ცდილობს, თითქოს ის შავკანიან მოსახლეობაში პოპულარულია. ფოტოს შემქმნელები ამბობენ, რომ მას საარჩევნო კამპანიასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. ექსპერტები ამას საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტრამპის მომხრეთა მიერ აგორებულ დეზინფორმაციის ახალ ტენდენციას უწოდებენ.

ფოტოშოპის სპეციალისტებმა ამ გამოსახულებაში ფეიკი მაშინვე აღმოაჩინეს, თუმცა თემაში ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის ის შეიძლება საკმაოდ რეალური ჩანდეს. ამაზე სოციალურ ქსელებში მომხმარებელთა კომენტარებიც მიუთითებს. ბევრმა დაიჯერა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ფოტო ნამდვილია.

# რობერტ სტურუა: თუ „ვეფხისტყაოსანს“ დავდგამ, მაშინ ყველას დაგემშვიდობებით...



რეჟისორმა **რობერტ სტურუამ** გადაცემაში „იმედი LIVE“ „ვეფხისტყაოსანზე“ ისაუბრა, რომლის სპექტაკლად ქცევასაც დიდი ხანია, ფიქრობს.

**„30 წელია, „ვეფხისტყაოსანზე“ ვმუშაობ. ის გენიალური პოეზია უნდა გადავიტანო სცენაზე. თქვენ უნდა ნახოთ რაღაც ადეკვატური იმ გენიალური კაცის პოეზიის, რომელიც ამ პოემაშია. შეიძლება დავდგა, შეიძლება – არა. თუ დავდგამ, ვიცი სასაკლაოზე მივდივარ, ყველა მომკლავს. თუ დავდგამ, რასაკვირველია დაგემშვიდობებით ყველას – დამკლავენ, ჩამქოლავენ, რადგან ყველას თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს. ყველას ჰგონია, რომ მოვლენ რუსთაველის თეატრში და ნახავენ ზიჩის, ან ქობულაძის ილუსტრაციებს. აქ იქნება რუსთაველის თეატრის ვერსია. თუ კითხულობ „ვეფხისტყაოსანს“, იქ იბადება შენთვის, სახიერი ხდება პოემა. პირველი ვერსია რომ გავაკეთე, ეს იყო სადღაც გასულ საუკუნეში, 2000 წელს ვუახლოვდებოდით. ყველაფერი მქონდა კომპიუტერში, მაშინ კომპიუტერი ძვირი და იშვიათი იყო და მომპარეს. ზღვაზე ვისვენებდი“,** – აღნიშნა რეჟისორმა.

# რომის პაპი: საკმარისია, შეჩერდით!



**„ყოველდღე ტკივილით ვატარებ გულში პალესტინისა და ისრაელის მოსახლეობის ტანჯვას მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ათასობით დაღუპული, დაშავებული, დევნილი... მართლა ფიქრობთ, რომ ამ გზით უკეთესი სამყაროს აშენებას შეძლებთ? მართლა ფიქრობთ, რომ მიაღწევთ მშვიდობას? საკმარისია, გთხოვთ! მოდით, ყველამ ვთქვათ საკმარისია, გთხოვთ! შეჩერდით!“,** – ამბობს რომის პაპი. ასევე მან ხაზი გაუსვა იმ შედეგებს, რაც კონფლიქტს ბავშვებისთვის მოაქვს და 7 ოქტომბერს დაკავებული მძევლების გათავისუფლების აუცილებლობაზე ისაუბრა.

# APPLE-ი ელექტრომობილს აღარ გამოუშვებს

**APPLE-მა ელექტრომობილების გუნდ Special Projects Group-ის მუშაობა შეაჩერა. პროგრამაში ათასობით პირი იყო დასაქმებული. Bloomberg-ის ცნობით, დასაქმებულთა ნაწილი Apple-მა შესაძლოა გენერაციულ ხელოვნური ინტელექტის გუნდში გადაიყვანოს.**

Apple-ის მიზნების შესახებ პირველად ცნობილი 2014 წელს, მას შემდეგ გახდა, რაც კომპანიამ ავტომწარმოებლებისგან საავტომობილო ინჟინრებისა და სხვა კადრების გადმობირება დაიწყო.




## საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323

2 009882 616932


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 8 მარტს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6596; ევრო - 2.8745;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3596;
100 რუბლი - 2.9106; თურქული ლირა - 0.0849;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5641;
1000 სომხური დრამი - 6.5882

### ამინდი 6 მარტისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –4, | დღე +12 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +11 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge